იფიგენია

ირმები გაწყდნენ

ეძღვნება ბილი აილიშს, დიდი სიყვარულით

ტრაგედიის მონაწილეები:

ჯარისკაცები, მოღრიალე ხალხის მასა

მსახურები

ჩვილი ორესტე

პრინცი

ელექტრა

იფიგენია

კლიტემნესტრა

აგამემნონი

მენელაოსი

00:00

საუნდსისტემა იფიგენიას ოთახში. შვედეთის პრინცის ხმა ხავერდოვნად და დაბალ ტონებში.

პატარა ოთახი. ფანჯრებს დარაბები ფარავს. იფიგენია საწოლში დევს 3D სათვალით და პრინცის ASMR ვიდეოს უყურებს.

დიდი ოთახი. ფანჯრებს დარაბები ფარავს, ერთი დარაბა ოდნავ ღიაა. კლიტემნესტრა წერილით ხელში დგას. სიგარეტი უშველებელ კაბაზე ეფერფლება. ელექტრას და ორესტეს ტახტზე ჩასძინებიათ.

ბნელი ტყე. მაღალი ხეები. მძინარე ჯარისკაცები ხეებთან. აგამემნონი და მენელაოსი ცხენებზე.

00:05

აგამემნონი ცხენიდან ჩამოდის. ტყეში დადის. ჯარისკაცებს ათვალიერებს. მენელაოსი უყურებს.

მენელაოსი: სწრაფად უნდა /გადაწყვიტო!

აგამემნონი: ჩშშშ!

პრინცი: რელაქსაცია. სიმშვიდე. არ ინერვიულო. მე შენზე ვიზრუნებ.

კარგი?

მენდობი?

უნდა მენდო.

მხოლოდ მიყევი ჩემს მითითებებს და თავს შესანიშნავად იგრძნობ.

შესანიშნავად,

ბრწყინვალედ.

პაუზა. რკინის ყუთის გახსნის ხმა. შემდეგ ქსოვილების ხახუნის ხმა.

არ შეგცივდება.

რადგან მე შენს რელაქსაციაზე ვზრუნავ, რადგან მე შენს მოდუნებაზე ვზრუნავ, რადგან მე შენს სიმშვიდეზე ვზრუნავ.

აქ უსაფრთხოდ ხარ.

შუშის ბოთლებს აწკარუნებს, შემდეგ წყალს ასხამს რკინის თასში.

ჩემს ხმას გაყევი.

გრძნობ წამლების სუნს?

შენს თავზე მწვანე, ჭრელი სამხედრო კარავია.

გასროლის ხმის იმიტაცია.

ჰჰჰ! გასროლის ხმა გესმის?

მაგრამ შენ უსაფრთხოდ ხარ, შენამდე ვეღარცერთი ტყვია ვეღარ მოაღწევს,

გესმის ჩემი ხმა?

ისევ საბანს აშრიალებს.

შენი სახელი მითხარი.

შეეცადე, როგორმე მიმანიშნო - გესმის თუ არა ჩემი ხმა.

თუ გესმის, თვალები დაახამხამე.

კარგია! რადგან გესმის, ჩემს ხმას მარტივად გამოყვები. შენ სუნთქავ. შენ თავისუფლად სუნთქავ.

და გრძნობ ამ თბილ ჰაერს, რომელიც ახლა აქ, ამ სამედიცინო პუნქტის კარავშია.

რეზინისა და წამლების შერეული სუნი.

გსიამოვნებს?

მენელაოსი: შეწყვიტე სიარული და მოდი აქ.

პრინცი: ვიცი, გსიამოვნებს.

აგამემნონი: გითხარი, რომ უკვე მივწერე.

მენელაოსი: მაგრამ მაინც გატყობ, რომ ღელავ.

აგამემნონი: მე?

მენელოსი: ერთ ადგილას ვერ ჩერდები.

პრინცი მიკროფონთან კიდევ უფრო ახლოს მიდის. აგამემნონი ცხენზე ჯდება.

პრინცი: მე შენს მაჯას ვეხები. ყველაფერი კარგადაა, პულსი გესინჯება.

ღმერთო! მეორე ხელზე ჭრილობა გაქვს.

უნდა დავხედო.

სიმშვიდე!

სიმშვიდე!

უნდა მენდო.

მენდობი?

მენელაოსი: რა თქმა უნდა, მე მესმის, რატომაც ღელავ, მაგრამ...

პრინცი: აქ უსაფრთხოდ ხარ.

მენელაოსი: რთულია. მესმის.

პრინცი: შენ საიმედო ხელში ხარ.

მენელაოსი: ნამდვილად მესმის,

პრინცი: მე შენზე ვზრუნავ. რელაქსაცია.

ისევ ტყვიების ხმის იმიტაცია

მენელაოსი: მაგრამ

აგამემნონი: მაშ, რაღა მაგრამ?

პრინცი: დიდი ბრძოლა გამოიარე და კიდეც იბრძოლებ, ჭრილობებს მოგიშუშებ.

მხოლოდ მენდე.

უკვე დიდი ხანია, მხედართთმავრის ბრძანებით წინ ვერ მივიწევთ.

ასე რომ, ამაღამ მშვიდად ძილს შეძლებ.

წყალს ახმაურებს

მენელაოსი: ერთი რამ მიკვირს, რამდენი რამ გადაგილახავს. რამდენი სისხლი დაგივიწყებია, რამდენი დაგიწვავს, რამდენის ცოლ-შვილი გაგიჟლეტია,

აგამემნონი: ეგ ძველი ამბებია.

მენელაოსი: მეც ამას ვამბობ, რამდენი ტკივილი აქციე ძველ ამბად, რადგან ასე იყო საჭირო, რადგან შენს ტანზე ერთადერთი ჭრილობა იყო მუდამ და მას სამშობლო ერქვა... სხვა ჭრილობებს უმალ შეიხორცებდი... სამეფოდან გაგვაძევეს, მამა მოგვიკლეს, წლები დავხეტიალობდით... თოვლში, ტყეში, უდაბნოში, სად აღარ! ახლა რაღა გჭირს?

აგამემნონი: დავსუსტდი.

მენელაოსი: სეროტონინის ნაკლებობა...

აგამემნონი: 10 დღეა არ მიძინია.

მენელაოსი: სეროტონინი უნდა აღიდგინო, ჩემო ძმაო, თორემ ხომ ხედავ, ძალაუფლება, როგორც სილა ხელიდან მიგდის.

აგამემნონი: რომ შემეძლოს მხოლოდ სასტუმროების ქსელს დავჯერდებოდი.

მენელაოსი: მაგრამ ამის უფლება არ გაქვს.

პრინცი: ჩვენი გემები უკვე რამდენიმე კვირაა ზღვაში ნელა ირწევა და წინ ვერ მივიწევთ,

წარმოიდგინე, რომ ამ გემში წევხარ.

ძილის ტალღებს მიენდე.

დაივიწყე ცოტა ხნით ბრძოლა.

პრინცი მეორე მიკროფონთან განაგრძობს. მენელაოსი აგამემნონს მიუჯდება ცხენზე

ახლა ჩემთან ხარ და ჩემს ხელში ყველა შენი ჭრილობა მსუბუქ ნაკაწრად გადაიქცევა.

მენელაოსი: იმის თქმა მინდა, რომ ბევრი გავწირეთ სამშობლოსთვის და კვლავაც ბევრის გაწირვა მოგვიწევს, ძმაო.

პრინცი: დამშვიდდი, კარგი?

მე შენზე ვზრუნავ. მე შენზე /ყოველთვის ვიზრუნებ.

მენელაოსი: ძმები გავწირეთ, ძმების ძმები გავწირეთ, ძმების ძმების ძმები გავწირეთ, ძმების ძმების ძმებიც გავწირეთ, რომ კუთვნილი ტახტი დაგვებრუნებინა. სამაგიეროდ კი სხვა ძმები ვიხსენით და მთელმა საძმომ პირობა დავდეთ, რომ ჩემს მეუღლეს შეხებასაც ვერავინ გაუბედავდა. ასე არ იყო?

პრინცი: ახლა ნამდვილად უნდა დავხედო ჭრილობას, /ხელი მომეცი.

მენელაოსი: შენს მეუღლეზე, რა, განა იგივე არ შევფიცეთ?

პრინცი: უნდა დაგიცვა, რომ სისხლისგან არ დაიცალო.

მენელაოსი: სხვა ძმების ცოლებზე იმავე ფიცი არ დავდეთ, ჩემი სიმამრის მრავალტანჯულ მუხლებთან?

პრინცი: ნუ ღელავ,

მენელაოსი: ასე არ იყო?

პრინცი: ხელი მომეცი.

მენელაოსი: მან კი ტახტი დაგვითმო.

პრინცი: კარგია.

მენელაოსი: მე ვმეფობდი, მაგრამ შენ მართავდი, ასე არ იყო? შენ იღებდი ყველა გადაწყვეტილებას.

პრინცი: მოგწონს?

პრინცი მიკროფონთან ხელებს უსვამს ერთმანეთს. მერე ისევ იღებს ბოთლს და აწკარუნებს.

მენელაოსი: რატომ გაბრაზდი ძმაო? სახე წითლად რად აგიალდა?

აგამემნონი: შენი ცოლი,

პრინცი: ახლა სპირტს გასხამ.

აგამემნონი: მე კარგად მახსოვს, მან ჩვენს შორის შუღლი ჩააგდო.

პრინცი: გსიამოვნებს?

მენელაოსი: გეყოფა, ჩემო ძმაო... ძველ იარებს ნუღარ იხსენებ.

პრინცი: ხომ არ გწვავს?

პრინცი ბამბას აშრიალებს

აგამემნონი: აკი თქვი, რომ სხეულზე მხოლოდ სამშობლოს იარა მაქვს ორად გახსნილი.

მენელაოსი: ასე გითხარი.

აგამემნონი: მოურწყავ, დამზრალ მიწას ჰგავს ჩემი გული. განა ღალატით, ელენემ რაც ჩაგადენინა, ამ იარას უფრო ღრმად არ აპობს შენი ნაჯახი?

პრინცი: მიმხმარ სისხლს სხვანაირად ვერ მოგაშორებ.

მაგრამ შენ ისეთი ძლიერი ხარ, ყველაფერს გაუძლებ.

მენელაოსი: გულში წყენა არ დაიმარხო. თუ საჭიროა დაგიჩოქებ, უკვე მეასედ, კიდევ ერთხელ ბოდიშს მოგიხდი.

პრინცი: გაიხსენე ყველა სირთულე, რაც გადაგილახავს, გაიხსენე რას გრძნობ, როცა სირთულეს გადალახავ.

გსიამოვნებს.

აგამემნონი: ეს არაფერს შეცვლის. და არც აქვს ამას ახლა მნიშნელობა.

მენელაოსი: მართალია. ჩვენს ძმობას ვერაფერი დაარღვევს. ვერავინ!

აგამემნონი: ასე ნუ მიჭერ. ხომ იცი, რომ სუნთქვა თუ შემეკრა ეგრევე გული მიმდის!

პრინცი: შენი გული სიხარულით ივსება.

შენი გული გამარჯვებას ზეიმობს.

მენელაოსი: კარგი. ესე იგი წერილი გაგზავნილია. ჩემი ძმისშვილი მალე აქ იქნება.

ჩემი განწირული ძმისშვილი.

აგამემნონი: ჰო. წესით ხვალ შუადღისას აქ იქნება.

პრინცი: მაგრამ შენ ახლა დაჭრილი ხარ, ჭრილობებს უნდა ვუმკურნალოთ, კარგი?

ხომ მოგწონს?

ხომ მოგწონს როგორც ვზრუნავ შენზე?

მენელაოსი: მაქსიმალურად დეტალურად აღუწერე შენს ცოლს სიმართლე?

პრინცი: ახლა ჭრილობაზე წყალბადის ზეჟანგს გასხამ.

აგამემნონი: უფრო ტყუილი.

პრინცი: ლამაზია, როგორ ქაფდება.

აგამემნონი: მოვატყუე, რომ სასწრაფოდ აქ უნდა ჩამოვიდნენ, რათა სიყვარულით ვუმკურნალოთ ჩემს საბრალო გოგოს, მივწერე, ის რაც მამათმამისგან გვეუწყა, ოღონდ სიკვდილი ბედნიერი ქორწილით შევცვალე. მივწერე, მამათმამ თქვა, რომ მის სულს სიმშვიდე და სიყვარული სჭირდება, ბედად კი სრულიად შვედეთის უფლისწულმა სწორედ ასეთი სარეაბილიტაციო ცენტრი დაარსა ჩვენს მახლობლად და მოისურვა ჩვენთან კავშირის გაღრმავება და ქალიშვილის ხელს მთხოვს. მივწერე, რომ ასეთია მკურნალობის გზა. პაციენტები სიყვარულით კურნებიან. ასე მივწერე,- ჩემს შვილს, ჩემს უბედურ იფიგენიას, ჩრდილოურმა სინაზემ და მელანქოლიამ უმკურნალოს-მეთქი, იქნებ, ჩემს უბედურ შვილს, იფიგენიას, -

პრინცი: ვარდისფრად

აგამემნონი: - რომელიც 1 წელია ოთახიდან არ გამოსულა.

მენელაოსი: დეპრესია, -

პრინცი: გიშველის,

მენელაოსი: - თანამედროვეობის შავი ჭირი.

პრინცი: მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ გიშველოს.

აგამემნონი: 10 დღეა არ მძინებია.

მენელაოსი: საბრალო გოგო.

პრინცი: შენი ჭრილობა ქაფდება.

მოგწონს? გსიამოვნებს?

აგამემნონი: როგორ დავიძინებ, როცა ვიცი, მთელი ღამე კოშმარები სტანჯავს და ხშირად ძილის დამბლა გაღვიძების საშუალებას არ აძლევს.

მენელაოსი: იქნებ...

აგამემნონი: რა?

პრინცი: რელაქსაცია. სიმშვიდე. არ ინერვიულო. მე შენზე ვზრუნავ. ცოტაც და სრულიად რელაქსირებულად იგრძნობ თავს, ბაზაში სხვა წამლები აღარ დაგვრჩა, სამაგიეროდ მე ვარ შენს გვერდით, მე ვარ აქ და მე შენზე ვზუნავ, კარგი?

მენელაოსი: იქნებ

პრინცი: რელაქსაცია, რელაქსაცია, სიმშვიდე.

მენელაოსი: იქნებ სიკვდილი ერთადერთი კურნებაც იყოს.

პრინცი: ხვალ დიდი დღე გვაქვს.

მენელაოსი: იქნებ იქ მაინც განისვენოს საბრალო ბავშვმა.

აგამემნონი: სამშობლოსათვის შეწირულმა.

მენელაოსი: სამშობლოსათვის შეწირულმა!

პრინცი: ბრძოლა უნდა განვაგრძოთ, და შენ ამაღამ კარგად გახდები, მე ვიზრუნებ შენზე და ჩვენ ერთად გავიღვიძებთ ხვალ დილას, სამშობლოს დასაცავად.

ახლა კი უნდა დავიძინოთ,

ძილი სიმშვიდეს მოგვგვრის.

მეც შენთან ერთად დავიძინებ.

ჩემს სამხედრო ქურთუკს სახეზე გაფარებ, სუნი გსიამოვნებს?

მენელაოსი: კიდევ ძალიან გიჭერ?

პრინცი: ვიცი, შენზე ბევრს ნადირობდნენ,

მტრისთვის სასურველი ლუკმა იყავი, მაგრამ ახლა აქ ხარ და მე შენზე ვზრუნავ.

აგამემნონი: არაუშავს, მაგისთანები ამიტანია.

მეტალის სამედიცინო იარაღების ხმა

პრინცი: ჭრილობას გიხვევ.

ყველაფერი კარგადაა.

შენ აქ უსაფრთხოდ ხარ, მშვიდად ხარ, რადგან მე შენს გვერდით ვარ და შენს რელაქსაციაზე ვზრუნავ.

მოდუნდი

მენელაოსი: დავიძინოთ.

მიკროფონთან ახლოს საკუთარ ხელს კოცნის.

პრინცი: სინათლეს ვაქრობ.

შენს გვერდით ვწევარ.

მეორე მიკროფონში განაგრძობს უფრო ახლოდან და უფრო ხმადაბლა ლაპარაკს.

მებრძოლი იძინებს.

მებრძოლს დასვენება სჭირდება.

მებრძოლი ახალი ომისთვის ახალი ძალებით გაიღვიძებს.

სამშობლოსთვის გაიღვიძებს.

ისევ კოცნის ხმა. საბნის შრიალის ხმა. სუნთქვის ხმა.

ახლა მე ვიდეოს ჩავრთავ და შეგვიძლია ერთად დავიძინოთ. გმადლობთ, მოსმენისთვის.

00:30

სძინავთ. აგამემნონი თვალებს ვერ ხუჭავს. კლიტემნესტრა ელექტრას აღვიძებს. ელექტრა ისევ ტახტზე განაგრძობს ძილს. კლიტემნესტრას ორესტე გაჰყავს საძინებელში. დარაბა გაღებული რჩება. კლიტემნესტრა ბრუნდება და ელექტრას ეხუტება.

ელექტრა: დამშვიდდი დედა, ასაღელვებელი არაფერი.

კლიტემნესტრა: ძალიან მეშინია

ელექტრა: მთავარია, რომ იფიგენია გამოკეთდეს.

კლიტემნესტრა: კარგად გახდება.

ელექტრა: აუცილებლად კარგად გახდება!

კლიტემნესტრა: დარაბას მივხურავ, მეშინია, ისევ რამე არ შემოაგდონ.

ელექტრა: ნუ გეშინია, ვეღარ გაბედავენ.

კლიტემნესტრა: შენ, ამაღამ ისევ აქ დაიძინებ?

ელექტრა: მომწონს ტახტზე ძილი.

კლიტემნესტრა: ხერხემალს გაიმრუდებ ბოლოს!

ელექტრა: კარგი რა დედა, რამეში მაინც მჭირდებოდეს სწორი ხერხემალი.

კლიტემნესტრა: რა თქმა უნდა გჭირდება!

ელექტრა: ვგიჟდები ესე რო იტყვი ხოლმე!

კლიტემნესტრა: რა თქმა უნდა გჭირდება ხერხემალი!

ელექტრა: აბა, რაში, მითხარი.

კლიტემნესტრა: აზრი არ აქვს შენთან ლაპარაკს.

დგება, გადის.

ელექტრა: თუ რამე დაგჭირდა დამიძახე.

01:00

სძინავთ. აგამემნონი ცხენიდან დგება ფრთხილად. და ტყეში მიიპარება. მენელაოსი მის ცხენზე განაგრძობს ძილს. ვიღაც ფეერვერკს ისვრის. შეშინებული კლიტემნესტრა მისაღებში შევარდება და დარაბას დახურავს. ჰიანინოს სკამზე ჯდება. ზის.

01:15

იფიგენია სიბნელეში საწოლიდან გადმოხოხდება და საწერ მაგიდასთან სავარძელში ჯდება. მუსიკალურ პროგრამას ჩართავს და ტრეკის კეთებას იწყებს. ABBA-ს Happy new year-ის ქავერს აკეთებს.

სიმღერის დასაწყისს რამდენჯერმე იმეორებს, რადგან მაღალ ბგერებს სუფთად ვერ იღებს:

No more champagne

And the fireworks are through

მომდევნო ფრაზას მარტივად წერს:

Here we are, me and you

Feeling lost and feeling blue

მომდევნო ორ ფრაზაზე ისევ ჭედავს:

It's the end of the party

And the morning seems so grey

და ისევ მარტივად:

So unlike yesterday

Now's the time for us to say

სიმღერის გაგონებაზე, კლიტემნესტრა იფიგენიას საძინებლის კარს უახლოვდება. უსმენს. მერე უკაკუნებს. იფიგენია კაკუნს იწერს. ლუპავს და საშინელ ხმაურად აქცევს. ელექტრა შემორბის.

ელექტრა: რა ხდება?

ორესტეც იღვიძებს და ტირის. კლიტემნესტრა მასთან მირბის.

ელექტრა: დედა, რა ვქნა?

კლიტემნესტრა: არაფერი, დაიცადე და გაჩუმდება.

ელექტრა: მეძინება!

კლიტემნესტრა: საცობები გაიკეთე ყურებში.

ელექტრა: ზეგ მაქვს გამოცდა, ხომ იცის, რომ გამოძინება მჭირდება! იფიგენია, გთხოვ, გეყოფა!

კლიტემნესტრა: ნუ გეშინია, შენ გამოცდას აუცილებლად ჩააბარებ, სულ რო სამჯერ დააჭირო რომელიმე კლავიშს.

ელექტრა: რა?

კლიტემნესტრა: შენ როგორ ggონია, მამაშენის შვილს დაბალ ნიშანს დაუწერენ?

ელექტრა: დედა, ნამდვილი დებილი ხარ. შენზე დებილს მე არავის ვიცნობ. დიდი მადლობა.

კლიტემნესტრა ბრუნდება. ელექტრას თმებით დაითრევს და ტახტზე დასვამს. იფიგენია ლუპავს ელექტრას ბოლო წინადადებას.

სხედან.

ცოტა ხანში იფიგენია წყვეტს დაკვრას და სიჩუმე ისადგურებს.

02:00

კლიტემნესტრა: მაპატიე. ბოდიში.

ელექტრა: დედა, მეც რომ გამოვიკეტო ოთახში, საჭმლის ჭამა შევწყვიტო, რაღაც იდიოტობებს ვუყურო 24 საათი, საწოლიდან არასდროს/ ავდგე,

კლიტემნესტრა: გეყოფა.

ელექტრა: არა, მაცადე!

რა მოხდება, არც მე რო აღარ ვიარო სკოლაში? აღარც მისაღებ გამოცდებზე გავიდე? რაში მჭირდება? როგორც ვატყობ არაფერში არ მჭირდება, არც მეცადინეობა, არც ფორტეპიანოზე თავის რტყმა და არც არაფერი. უკვე იმდენ კონკურსზე ვთქვით უარი!

კლიტემნესტრა: შენ დას აბრალებ?

ელექტრა: მე რომ ამეკრძალა თქვენთვის იგივე, ხო არ გააკეთებდით. რატომ აქვს მას ამდენის უფლება? მართლა რჩეული ხომ არაა?

კლიტემნესტრა: გაჩუმდი!

ელექტრა: არა, ხომ იცი, როგორ მიყვარს, მასთან ერთად უმნიშვნელოვანეს ბრძოლაში ვარ ჩართული... მაგრამ ის უკვე სრულიად

კლიტემნესტრა: არ გვინდა, ახლა ამაზე ლაპარაკი!

ელექტრა: დედა, ნუ ეთანხმები, როცა ამას ამბობს! ამით არ ეხმარები!

კლიტემნესტრა: რას?

ელექტრა: რომ ვიღაც სხვაა და არა ის, ვინც ჩვენ გვგონია. რომ უბრალო ადამიანი არაა.

კლიტემნესტრა: ეს არ ფიქრობს!

ელექტრა: კარგი, მითხარი, ანუ მთელი ცხოვრება ამ დამპალ ქვეყანაში უნდა ამომხდეს სული, მთელმა ოჯახმა გადავწყვიტეთ, რომ ჩვენ პრინციპულად არ ვიმგზავრებთ თვითმფრინავით, რათა ჩვენი მცირეოდენი წვლილი მაინც შევიტანოთ გარემოს დაცვის დიად საქმეში! და ეს რის გამო? იმის გამო, რომ ჩემს უმცროს დაიკოს სამყაროს გადასარჩენად მოვლენილი ანგელოზი ჰგონია თავი, და ისიც კი არ ჰგონია, უბრალოდ ავადაა... და ამიტომ ამბობს ასე, ხო? დიდი მადლობა!

კლიტემნესტრა: ძვირფასო, საკმაოდ დიდი ხარ საიმისოდ, რომ საკუთარ პასუხისმგებლობას აცნობიერებდე სამყაროს წინაშე. მიხარია, რომ საკუთარი პროფესია ასე ძალიან გიყვარს, მაგრამ ის რომ ახლა თავს ასე ცუდად გრძნობ, იფიგენიას ბრალი კი არა, იმის ბრალია, რომ ჩვენს დროში, სამწუხაროდ, კარიერული წინსვლა და წარმატება ვიტალურ საჭიროებად გადაიქცა. მე არ მოგცემ იმის საშუალებას, რომ ამ ჭაობში აღმოჩნდე!

ელექტრა: 1 წელში სრულწლოვანი ვიქნები და ამას ჩემით გავაკეთებ...

კლიტემნესტრა: არა, ძირფასო. მიხვდები და არ გააკეთებ. ბოლოს და ბოლოს, არც ისეთი გენიალური ხარ, ასე არაა? რა საჭიროა, მთელ სამყაროს გააცნო თავი?

ელექტრა: რა?

‘

კლიტემნესტრა: ზეგ გამოცდა გაქვს და დროა, დაიძინო. უკვე სიჩუმეა და შეგვიძლია დავიძინოთ.

‘

ელექტრა: ეს რატომ მითხარი დედა!

დედა, რატომ მითხარი ეს!!!

მიპასუხე!

კლიტემნესტრა: მე ვარ *დედა* და *ვალდებული* ვარ საკუთარ შვილებს მინიმუმ, სიმართლე მაინც არ დავუმალო!

ელექტრა ტირილით გადის. კლიტემნესტრა რჩება.

კლიტემნესტრა: ძვირფასო!

გთხოვ არ ინერვიულო!

ძვირფასო!

ელექტრა! სიმართლე ყოველთვის პათეტიკურად ჟღერს ხოლმე, ძვირფასო!

იფიგენია კარადას გამოაღებს, იცვამს, ყველა ტანსაცმელს გადმოყრის, შეარჩევს ბოლოს რაღაცას, კარს აღებს და გადის.

02:30

კლიტემნესტრა: სადმე მიდიხარ?

იფიგენია: აჰა

კლიტემნესტრა: მანქანა დაგჭირდება.

იფიგენია: აჰა.

კლიტემნესტრა: ორი წამით მოიცადე, ახლავე დავურეკავ მძღოლს.

რეკავს.

მენელაოსს ეღვიძება. აგამემნონი ცხენზე აღარ ხვდება და მის ძებნას იწყებს.

მენელაოსი: აგამემნონ!

კლიტემნესტრა: ბოდიში რომ ისევ შუაღამისას გაღვიძებ.

ჩამოვა, ხო და____

დიდი მადლობა.

კი, კი დაუცადე, მე დაგირეკავ კიდევ.

აი, უკვე ჩამოდის.

მენელაოსი: სად ხარ, აგამემნონ!

იფიგენია სახლის კარს აღებს და გადის. კლიტემნესტრა შედის მის ოთახში და ალაგებს. ეკრანზე ხედავს ჩაძინებულ პრინცს. უკან გადაახვევს. ისმის მენელაოსის პარალელურად:

პრინცი: ბრძოლა უნდა განვაგრძოთ, და შენ ამაღამ კარგად გახდები, მე ვიზრუნებ შენზე და ჩვენ ერთად გავიღვიძებთ ხვალ დილას, სამშობლოს დასაცავად.

ახლა კი უნდა დავიძინოთ,

ძილი სიმშვიდეს მოგვგვრის.

მეც შენთან ერთად დავიძინებ.

ჩემს სამხედრო ქურთუკს სახეზე გაფარებ, სუნი გსიამოვნებს? [.....]

3 D სათვალეებს იკეთებს და საწოლზე ჩამოჯდება. ვიდეოს ყურებაში ერთობა. მენელაოსი ტყეში დარბის. დრო გადის. კლიტემნესტრას ეძინება. ცოტა ხანში ელექტრა შემოდის.

03:00

ელექტრა: დედა.

კლიტემნესტრა: ჰა? რა?

ელექტრა: დაგეძინა?

კლიტემნესტრა: უცებ ჩამთვლიმა.

ელექტრა: ჰო, ისიც კარგად იძინებს მაგის ხმაზე.

კლიტემნესტრა: სასიამოვნო ხმა აქვს.

ელექტრა: წუხელ იფიგენიას ჩემს ოთახში ეძინა.

კლიტემნესტრა: რას ამბობ?

ელექტრა: ასე *მოუნდა* / ალბათ

კლიტემნესტრა: მშვიდად ეძინა?

ელექტრა: უფრო სწორად არ სძინებია. მთელი ღამე იჯდა და წერდა.

კლიტემნეტსრა: რას?

ელექტრა: არ ვიცი, აი. აქაა

კლიტემნესტრა: რა?

ელექტრა: აი, ფურცლები. აქ წერია.

კლიტემნესტრა: რა

ელექტრა: დედა, ვიცი, რომ ცუდადაა და გვერდით უნდა ვედგეთ, მაგრამ

კლიტემნესტრა: წაიკითხე

ელექტრა: ჯობია, შენ თვითონ წაიკითხო.

კლიტემნესტრა: სათვალეს ნუ მაძებნინებ, წამიკითხე, გთხოვ.

ელექტრა: ყველაფერი უარესდება.

კლიტემნესტრა: რა გატირებს?

ელექტრა: არაფერი.

კლიტემნესტრა: მოდი ჩემთან, მაპატიე გთხოვ. არ მინდოდა ასე / გამომსვლოდა

ელექტრა: გეყოფა!

კლიტემნესტრა: კარგი. ბოდიში, ბოლოჯერ.

წამიკითხე.

ელექტრა: ***(კითხულობს)*** *„მჭამელი“ ასე ქვია.*

კლიტემნეტსრა: მოდი, დაჯექი.

ელექტრა: ვიდგები.

კლიტემნესტრა: წაიკითხე.

ელექტრა: მალე დავბრუნდებიო?

კლიტემნესტრა: არამგონია.

ელექტრა: გრძელი ტექსტია.

კლიტემნესტრა: კარის ხმას გავიგებთ.

ელექტრა: ზოგჯერ ისე ჩუმად შემოდის ხოლმე აჩრდილი გეგონება.

კლიტემნესტრა: წაიკითხე.

ელექტრა: კარგი, /დავჯდები.

კლიტემნესტრა: მოდი.

ელექტრა: *აღარ მჯერა რომ გავიზრდები და აღარ მჯერა ვარსკვლავების 20 წელში მიწაზე ლურსმნები ტომრიდან ბალახები ნემსების ბალახები*

ჭიქების მჭამელი

ყველაფერი იყო ტომრებიდან ვარსკვლავებისთვის განკუთვნილი ჰური საჭმელი მაგრამ სიკვდილი დაეპატრონა საბნებს ტუალეტის ქაღალდი ბალიშები შავ ყვავებს ზამთარში არავინ აჭმევს

შუშის მძღნერი.

კლიტემნეტსტრა: რა?

ელექტრა: ბოდიში, ასე წერია.

კლიტემნესტრა: არა, ვერ გავიგე უბრალოდ.

ელექტრა: უფრო ხმამაღლა/ წავიკითხავ

კლიტემნესტრა: არა, თვითონ ნაწერი!

ელექტრა: სწრაფად წერდა, ალბათ ნახევრად ეძინა. ალბათ საიდანღაც ამოწერა.

კლიტემნესტრა: ასეთ გაუგებრობებს კითხულობს?

კლიტემნესტრა: 1 კვირაა არ სძინებია.

ელექტრა: *ძილი მკვდარია ძილი მოკვდაო სისხლი და ნათურები ერთნაირად ელავენ ძილი გაგიქრა კაცმა უთხრა მამაჩემი ოთახიდან არასოდეს გასულა ხელები თუ არ ჰქონდა წითელი.*

წითელი ლარნაკები ღვინის თასები რაც ამ დახლართული გორგალიდან გამომიხსნიდა გამომარკვევდა მამას კისერში ეწვეთება დაფხვნილი ბროლი

დღეების სიკვდილი ღამე იღვრება ტანკი გახვრეტილი ტანჯულ სულთა ხსნა რიგი გრძელი ჩრდილები ხმაური აფეთქება ფრჩხილები ბრტყელტუჩა უთო დანა სალესი ქვა კედლები კბილები კედლებში

კოკა-კოლა მოაქვთ ლანგრებით თეთრი კაბები ბედნიერები ბედნიერები ბედნიერები იღიმებიან

თხილის სამტვრევი, თითი ავტომატი

მოურიე საჭმელს მოურიე

იაგუარი ქვაბში იაგუარი ცხოველი

იაგუარი ქვაბში თეფშზე

ქვაბში თეფშზე პირში

მამა იაგუარი.

იაგუარის ბავშვი

შუშის მამა იაგუარის აღარ მჯერა მიტოვებული

სიბნელეში

ყველაზე ბნელ საათში

როგორ ბედავს ჩემს მიტოვებას დგება მაცივრის სინათლე სახეს უნათებს

ენა მომტყდა

ტანით მაცივარში

თითები მტყდება სახე წმინდანის განათების ფილტრაცია ეს ყინვის ბრალი არაა ნამდვილად

დედამ ნაჯახით დალეწა ნაძვისხის სათამაშოები

მთელი ღორის შეჭმა მაცივარში შემწვარის

შემწვარი ღორი მამა

შემწვარი ღორის შვილი

შემწვარი მუცელში ფოსფორი აინთო

მწარე შრომისგან განმბანელი, დიდის ბუნების დიადი შემწე, მონადიმეთა მსაზრდოებელი ახალი წელი აღარ მოვა. ახალი წელი აღარ მოვა. ახალი წელი აღარ მოვა ახალი წელი აღარ მოვა ახალიწელიაღარმოვაახალიწელიაღარმოვაახალიწელიაღარმოვაახალიწელიაღარმოვაახალიწელიაღარმოვა

შემდეგი 3 გვერდი მხოლოდ ეს მეორდება, მერე გრძელდება: *გადავწყვიტე ყველაფერი გითხრა,/ სანამ:*

კლიტემნესტრა: ამ დროს ხომ სახლში არ იყო.

ელექტრა: რა დროს?

კლიტემნესტრა: როცა სათამაშოები დავლეწე. მამაშენის წასვლამდე, წინა საღამოს.

ელექტრა: ხომ გითხარი ისე შემოდის, ადამიანი ვერ გაიგებს-მეთქი.

კლიტემნესტრა: შეიძლება ახლაც აქაა.

არ უნდა გაიგოს, რომ ამას ვკითხულობთ.

ელექტრა: რაღაც უნდა გავაკეთოთ, უნდა დავეხმაროთ.

კლიტემნესტრა: ყველაფერს ვაკეთებთ. ეს უძილობის ბრალია.

სურათი გადაუღე და შეინახე.

არ უნდა გაიგოს.

ერთმანეთს უყურებენ. ელექტრა გადის. კლიტემნესტრა ვიდეოს თიშავს. იფიგენიას ოთახიდან გადის და ტუალეტში შედის. ისევ გამოდის. შემოსასვლელს შეამოწმებს. კარს ჩაკეტავს. დგას. მერე ისევ აღებს.

03:00

მენელაოსი: გაიღვიძეთ, ღირსების ჯარისკაცებო! გაიღვიძეთ!

როცა ჩვენი მხედართმთავარი, ქვეყანაზე ზრუნვით ბნელ ღამეს ტეხდა, მტერმა გაგვტაცა!

გაიღვიძეთ!

ძილი და სიბნელე სამუდამოდ უნდა დავასამაროთ!

ვიცი, რომ თქვენს გულს დარდის ნაცრით დაფარულს, ოდნავ სულის შებერვა უნდა, რომ აგუგუნდეს სამშობლოს ცეცხლი!

გაიღვიძეთ!

გაიღვიძეთ, ღირსების ჯარისკაცებო, გაიღვიძეთ!

განა თქვენთვის ქალი რომ წაერთმიათ არ იბრძოლებდით დასაბრუნებლად?

განა სამშობლო ქალი არ არის?

განა სამშობლო, დედა არ არის?

განა ამ მიწამ ტკივილით არ გვშვა თავის საშოდან, რომ სამუდამოდ დაგვეცვა მისი კარიბჭე შეუღწეველი?

განა მტერი არ ლამობს შეანგრიოს წმინდა კარიბჭე?

განა არ ვიცით ვინ არის მტერი?

კარგად ვიცით და ვხედავთ, ვის უნდა ჩვენი სამშობლოს მოსპობა, ტრადიციების შებღალვა, ყველა სიწმინდის განადგურება

და მათ შორის მათი განადგურება ვინც ყველა ამ ღირებულებას იცავს!

ჩვენ ევროპული ცივილიზაცია ვართ!

ჩვენ ვართ ევროპა! ჩვენ! და არა ის უსინდისო მასხარები!

თქვენ კარგად იცით, რამხელა წვლილი მიუძღვის ჩემს ძმას ქვეყნის კულტურულ განვითარებაში, რით შეუძლიათ მათ იამაყონ? რა გაუკეთებიათ ამ ქვეყნისთვის?

რაღა დავმალოთ, რადგან თვითონ ახლა აქ არაა, არ მომერიდება და ვიტყვი, თუკი რამ ხდება მისი სახსრებით ხდება, 20 000 ნიჭიერ ახალგაზრდა ხელოვანს სწორედ მისი დაფინანსებით გაეხსნა გზები. ისინი სამუდამოდ მადლიერები იქნებიან ჩემი დიდებული ძმის!

ხოლო ის ქმედება, რაც სულ რაღაც რამდენიმე საათის წინ განხორციელდა ჩვენს წინააღმდეგ, ცხადყოფს, როგორ ეშინია მტერს ჩვენი!

კარგად იცით, არ მჩვევია, ძმას გადავახტე და სიტყვით მის გარეშე მოგმართოთ... მაგრამ ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეს.

დიახ,

მათ ბრალს ვდებ! ბრალს ვდებ ჩემი ძმის გატაცებაში!!!

გაიტაცეს! და კაცმა არ იცის სად ჰყავთ.

ღამეს, რომელსაც კეთილ საქმეებზე ზრუნვაში უნდა ათევდეს ახლა იგი, ახლა ალბათ დილეგში ათევს.

იფიგენია სახლში ბრუნდება. ხელში მკვდარი ძაღლი უჭირავს.

კლიტემნესტრა: ეს რა მოიტანე?

იფიგენია: ვეღარ დარბოდა, კუდი ჰქონდა მოწყვეტილი.

კლიტემნესტრა: მერე?

იფიგენია: მისაღებში დავდებ და დავიძინებ.

კლიტემნესტრა: კარგი.

მენელაოსი: ახლა მიზეზსაც გეტყვით. 100 პროცენტით დარწმუნებული ვარ, სწორედ იმიტომ გაიტაცეს, რომ, ეშინიათ, იციან, ამის შემდეგ უძლურები იქნებიან ჩვენს წინაშე.

საქმე იმაშია, რომ რამდენიმე საათის წინ, ჩემი ძმა უდიდეს რისკზე წავიდა, პრაქტიკულად, თავი გაწირა, რათა ბრძოლა გაგრძელდეს. რათა გავიმარჯვოთ, გადაწყვიტა აღასრულოს მამათმამის თქმული და სამშობლოს გულზე დაკლას თვისი ქალწული იფიგენია, დაგვპირდა, მომავლის სისხლით გაანაყოფიეროს ბებერი მიწა!

იფიგენია: დედა!

იმდენი ვიცეკვე.

ისე დავიღალე ცეკვით.

კლიტემნესტრა: მართლა საყვარელო?

იფიგენია: ჰო, დედა, საშინლად დავიღალე, ისე დავიღალე ცეკვით. იატაკში ფეხები/იატაკი ჩაინგრა

კლიტემნესტრა: კარგია, შენს ასაკში მეც სულ ვცეკვავდი, უნდა გაერთო, უნდა იმხიარულო. აბა, რა?!

იფიგენია: არა, დედა, ეს რაღაც მეტია. ეს არაა მხოლოდ ცეკვა. ეს თავისუფლებისთვის ბრძოლაა.

კლიტემნესტრა: მესმის, მესმის.

იფიგენია: თქვენ რისთვის ცეკვავდით ხოლმე?

კლიტემნესტრა: ჩვენც. თავისუფლებისთვის. ნამდვილად ასე იყო.

იფიგენია: ტექნო უკვე არსებობდა თქვენ დროს?

კლიტემნესტრა: ჩვენ დროს უფრო დისკო...

იფიგენია: დისკო ბრუნდება. ისევ მოდაშია.

კლიტემნესტრა: ისე გვიხაროდა სიცოცხლე.

იფიგენია: რის გამო?

კლიტემნესტრა: უბრალოდ.

იფიგენია: ეგ რამდენი წლის წინ იყო?

კლიტემნესტრა: 20? 30?

იფიგენია: რა გიხაროდათ 20, ან თუნდაც 30 წლის წინ?

კლიტემნესტრა: რა ვიცი... ბევრი რამე, როგორც თქვენ გიხარიათ, მეგობრებთან გართობა... სიცილი, ხუმრობა... სიყვარული.

იფიგენია: არა, მაგას არ გეკითხები.

კლიტემნესტრა: აბა?

იფიგენია: იმაზე თუ ფიქრობდი, რომ 20 ან 30 წლის შემდეგ მე ამ შეკითხვას დაგისვამდი?

ან იმაზე, რომ 20, 30 წლის შემდეგ დადნებოდა ყველაფერი, რაც გაყინული უნდა ყოფილიყო და თეთრი დათვები საკუთარ შვილებს შეჭამდნენ?

კლიტემნესტრა: თეთრი დათვები საკუთარ შვილებს არ ჭამენ.

იფიგენია: უკვე ჭამენ.

კლიტემნესტრა: ფეიკ ნიუსი იქნება.

იფიგენია: არა.

კლიტემნესტრა: ნუ კითხულობ ეგეთ რაღაცებს.

იფიგენია: რა მნიშვნელობა აქვს. დეკემბერში იასამნები ყვავდება, აპრილში თოვს. რა არის გაუგებარი ამაში?

კლიტემნესტრა: დაიძინე.

იფიგენია: ყველაფერი მთავრდება. მიკვირს ეს რომ არ გიხარია!

კლიტემნესტრა: წამოდი, დაწექი.

იფიგენია: უნდა გიხაროდეს.

კლიტემნესტრა: დაიძინე, დილით რაღაც მინდა, რომ გითხრა.

იფიგენია: იცი, რომ ამ წელს ახალი წელი აღარ მოვა?

კლიტემნესტრა: აბა, რას ამბობ, საყვარელო? როგორ არ მოვა?

იფიგენია: არ მოვა.

ყველა ერთად ვიქნებით და ვნახავთ, რომ აღარ მოვა.

აღარასდროს აღარ მოვა ახალი წელი.

აღარც თოვლი.

და ქუჩებში ძაღლებზე ინადირებენ და კალაშნიკოვებით ივლიან მამები და ძმები და დახოცავენ მოხუცებს და დახოცავენ ავადმყოფ ახალგაზრდებს და ინტერნეტი გაითიშება და ვეღარავინ ვერსაიდან ვეღარ დაჩექინდება სიკვდილამდე ორი წამით ადრე ბავშვები ვეღარ დაპოსტავენ ვიდეოებს აფეთექების პარალელურად „სამყაროვ, რატომ ხარ ჩუმად როცა ჩვენ ვფეთქდებით“. და ვეღარავინ აფეთქდება ლაივში

და ძილის წინ შუბლზე აღარ მაკოცო, ეპიდემიაა.

მაგრამ შენს ადგილას ეს ყველაფერი ძალიან გამიხარდებოდა! გამიხარდებოდა, რომ როგორც იქნა, ყველაფერი ცუდად მთავრდება, როგორც დაიწყო, ისე.

ძილინებისა.

კლიტემნესტრა: რა ეპიდემია?

იფიგენია: დაგუგლე, სანამ ინტერნეტი ჯერ კიდევ გაქვს.

იფიგენია ძაღლს მისაღების ცენტრში დადებს და ოთახში შედის. კლიტემნესტრა ძაღლს მიაჩერდება. ტელეფონს იღებს და რეკავს.

კლიტემნესტრა: გმადლობ...

შენ არ მოგიყვანია?

კი, ახლახანს მოვიდა. კი, შეგიძლია აღარ დაელოდო, წამოდი. შენი დახმარება მჭირდება. კი, ამჯერად, მკვდარი ძაღლი მოიტანა

გკოცნი.

კლიტემნესტრა ფანჯარას გამოაღებს, სიგარეტს უკიდებს, ჯიბიდან წერილს ამოიღებს და ფანჯარასთან, სინათლეზე კითხულობს.

ტყეში, მენელაოსისგან მოშორებით აგამემნონი გამოჩნდება. ხის ირემზე ზის და მოგორავს.

04:00

მენელაოსი: აი, ისიც. გამთენიისას დაგვიბრუნდა აგამემნონი,

იმედის სხივი,

რაზედ შემჯდარხარ ჩემო ძმაო! ალბათ სიმართლისა და სიმშვიდის გამარჯვების ნიშნად გვიბრუნდები, წმინდა ცხოველის წმინდა რქებით შეებრძოლე ალბათ სიმართლის მტერს!

მომავლის სინათლე გზას უკვალავს, შეეგებეთ მამას, ყველაფრის დამთმობს, შვილის გამწირველს საყვარელი სამშობლოსათვის! თავის მიწის მცველს, გულმდუღარ აგამემნონს!

ძვირფასო ძმაო, მე შემაშინმა შენმა უცაბედმა გაუჩინარებამ და საყვარელ ხალხს, სიმართლე უშენოდ ვამცნე,

მჯერა, არ მიწყენ, რადგან ვიცი, გამჭვირვალობა შენი პირველი კანონია,

ღიაობა, თანასწორობა, შენი მთავარი ღირებულებებია და ამიტომაც ყველას გავანდე რასაც გეგმავ, რომ შენს საყვარელ, სათუთ ქალიშვილს,

ერთობის თანასწორობისა და ძმობის ფასად, მსხვერპლად შესწირავ!

აგამემნონს გული მისდის. ხის ირმიდან გადმოვარდება.

როგორც ჩანს ძლიერად არის ნაწამები.

გთხოვთ დაიშალოთ!

დაიშალეთ! დაუყოვნებლივ დაიშალეთ!

აგამემნონ, ჩემო ძმაო, რა დაგემართა!

იფიგენია ჩართავს მორიგ ASMR ვიდეოს და თვალებღიას ეძინება. კარზე კაკუნია. კლიტემნესტრა კარს აღებს.

შვედეთის პრინცი: ახლა დაბომბილ ქუჩებში ვსეირნობთ.

ფეხისგულებით ვგრძნობთ სახლების ნანგრევებს. აი, რაღაც სათამაშო შეგვერჭო ფეხში.

ეგისთოსი: ახალი ძაღლი მოგიყვანე.

კლიტემნესტრა: რა?

ეგისთოსი: გამატარე.

შემორბის. ძაღლის გვამს ფანჯრიდან გადააგდებს. სახლში პატარა პომერანულ შპიცს გაუშვებს.

პრინცი: ამოვთხაროთ, იქნებ გადავარჩინოთ ვინმე

დამეხმარე...

კლიტემნესტრა: იატაკი მოვწმინდო?

ეგისთოსი: არა, რა საჭიროა.

კლიტემნესტრა: რამე არ გადაედოს. პატარაა

პრინცი: აუცილებლად უნდა გადავარჩინოთ.

ეგისთოსი: ყველა აცრა გაკეთებული აქვს.

პრინცი: ოოოჰ

რა მძიმე ქვებია.

ნიჩაბს ვიღებთ და თხრას ვიწყებთ.

ااه, ეს ქვა მომაშორე.

მენელაოსი: ეს რა არის?

კლიტემნესტრა: ღმერთო, რა საშინელებაა, რა საჭირო იყო!

პრინცი ქვებს აჩხრიალებს

კლიტემნესტრა და ეგისთოსი ძაღლს უყურებენ.

პრინცი: დაბომბვის ხმაა!

სწრაფად უნდა ვიმოქმედოთ.

მენელაოსი: ახლავე გამოფხიზლდი და მითხარი!

მენელაოსი აგამემნონს წერილს უპოვის

პრინცი: რაღაც სირბილეს ვეხები, მგონი ბავშვი უნდა იყოს.

მენელაოისი: ისევ გადაიფიქრე არა, შე მხდალო!!!

პრინცი: ხელით ვეხებით ამ სირბილეს,

კი, ბავშვია, რბილ ხორცს გრძნობ.

აგამემნონი: ახლავე დამიბრუნე!

პრინცი: თბილია

აგამემნონი: ახლავე დამიბრუნე-მეთქი!

პრინცი: ამ სითბოს გრძნობ,

მენელაოსი: მე სად დამემალებოდი ან ბედისწერას სად წაუხვალ? სად წაუხვალ აჯანყებულ მოსახლეობას?

რა ქვეშაჯვია ყოფილხარ!

გამეცი პასუხი!

აგამემნონი: შემეშვი!!!!

პრინცი: ნაზ კანს გრძნობ,

აგამემნონი: ყელში ამოხვედი უკვე!!!

პრინცი: რომელიც მტვერს დაუფარავს, მაგრამ, მთავარია, რომ თბილია.

მენელაოსი: გაჭმევ ეხლა ამ წერილს. მოდი აქ.

პრინცი: გიხარია, რომ ცოცხალია.

მენელაოსი: მოდი აქ!

პრინცი: ძალიან ბედნიერი ხარ!

მენელაოსი: მოდი აქ-მეთქი!

კლიტემნესტრა: ღმერთო, რა საზიზღრობაა!!!

ეგისთოსი: დამშვიდდი, დამშვიდდი.

პრინცი: გიხარია

ეგისთოსი: რაზე ამბობ?

პრინცი: რადგან შენ სასიკვდილოდ განწირული ბავშვი გადაარჩინე!

რამხელა სიხარულია!

რამხელა სიამაყე.

მენელაოსი: მოდი აქ-მეთქი, პირი უნდა ამოგიტენო, შენივე მზაკვრობით, შენი ღალატით!

პრინცი: გსიამოვნებს. ეს ქვებიც გსიამოვნებს ფეხისგულებზე რომ გესობა.

მენელაოსი: მოდი, მოდი, გესიამოვნება!

პრინცი: მიწის თხრას აგრძელებ, რადგან ჯერ მხოლოდ ხელი გიჭირავს,

აგამემნონი: შენ თვითონ რატო არ წირავ შენ შვილს?

კლიტემნესტრა: წერილი მივიღე.

ეგისთოსი: ვისგან?

პრინცი: მიწიდან ამოშვერილი ხელი

აგამემნონი: მიპასუხე!

პრინცი: და უნდა ამოთხარო,

კლიტემნესტრა: აგამემნონისგან.

აგამემნონი: იმის გამო, რომ შენ პოლიტიკაში მობრუნდე, მე რატომ /უნდა

მენელაოსი: ენა ჩაიგდე, თორემ ჩემით ჩაგაგდებინებ!

ეგისთოსი: რა ხმა იყო?

კლიტემნესტრა: ეს დღეები სულ ასეა. ახალი წელი მოდის.

პრინცი: ქვებისგან ათავისუფლებ.

აი, უკვე თმას ეხები

შავი თმა აქვს,

აზიური შავი თმა.

აგამემნონი: რაღა მაინცდამაინც ის? რაღა მაინც და მაინც ჩემი შვილი!

ეგისთოსი: რა მოგწერა?

პრინცი: თმა ცემენტის მტვერშია გასვრილი მაგრამ არაუშავს,

შემდეგ ვიდეოში ჩვენ ამ ბავშვს დავბანთ და რბილი პირსახოცით გავამშრალებთ.

მენელაოსი: ეტყობა, ვერ ხვდები რა დევს სასწორზე.

პრინცი: აი, უკვე ხმაც ისმის.

კლიტემნესტრა: ბარგის ჩალაგებაში დამეხმარები?

ეგისთოსი: მიდიხარ?

მენელაოსი აგამემნონს ყელში სწვდება და ახრჩობს. თან პირში სტენის წერილს.

კლიტემნესტრა: ხვალვე მივემგზავრებით.

პრინცი: თხრას განაგრძობ,

ეგისთოსი: ასეთი რა მოგწერა?

პრინცი: ფრჩხილებში მიწა გეჭედება, გსიამოვნებს, ყველაფერი გსიამოვნებს, რადგან კეთილი მიზანი გაქვს,

აი, შუბლი.

წითელი შუბლი ფეთქავს.

ვუუუუუ

ღმუილი ისმის

კლიტემნესტრა: აი, წერილი. თვითონ წაიკითხე.

პრინცი ჩაფლული ბავშვის ღმუილის იმიტაციას აკეთებს.

მენელაოსი აგამემნონს ხელს გაუშვებს. აგამემნონი მიწაზე ემხობა.

უუუუუუუუუუ

გესმის?

მენელაოსი: მომისმინე. კარგად მომისმინე. შენთვის ეს ბევრჯერ ამიხსნია, მაგრამ კიდევ ერთხელ ვცდი, ვინაიდან, როგორც ვატყობ ძლიერ სტრესში ხარ და გიჭირს მოვლენებს სახელები დაარქვა. გიჭირს პოლიტიკურ გათვლებზე დაფიქრება. რაც მართალია, მართალია სასწორზე *შენი შვილის* სიცოცხლე დევს. ასეა. არ უარვყოფ, მაგრამ ზუსტად ამავე სასწორის მეორე პინაზე ჩვენი ღირებულებებია და ერთი არასწორი ნაბიჯით, შეიძლება ისინი მოსპო!

აგამემნონი: აქამდე ვიცოდით, რომ ღირებულებები უკვდავი იყო.

მენელაოსი: დიახ, უკვდავი. მათ შეიძლება სიბნელის ჟამს მხოლოდ მიიძინონ.

აგამემნონი: გაჩუმდი.

პრინცი: გესმის?

მენელაოსი: არა, მისმინე.

პრინცი: რაც შეიძლება კარგად უნდა გაიგონო

უუუუ

აგამემნონი: რაღა აზრი აქვს, უკვე ყველამ იცის, რასაც ვაპირებ!

კლიტემნესტრა: წაიკითხე?

მენელაოსი: ესე იგი გადაწყვიტე.

აგამემნონი: ენა ჩაიგდე!

ეგისთოსი: იცი რა, არ ვიცი... მაგრამ გათხოვების გარეშეც ხომ შეიძლება, რომ საცხოვრებლად შვედეთში გაუშვათ... მაგალითად სასწავლებლად

პრინცი: თხრას განაგრძობ,

კლიტემნესტრა: ცხადია.

პრინცი: ქვებში იჩიჩქნები,

მიწაში იჩიჩქნები.

და აი, თვალებიც გამოჩნდა!

ნამდვილი სირიელის თვალები, გიყურებს და მადლიერების ცრემლები მოსდის.

ჯერ ისევ ღმუის

უუუუუუ

უუუუ

ისევ ჩიჩქნი

ინტერნეტი ჭედავს. კადრი შეშდება შვედეთის პრინცის ნასიამოვნებ სახეზე, რომელსაც პირი ღია აქვს მიკროფონთან ახლოს.

კლიტემნესტრა: იცი, აგამემნონი, შეიძლება ცუდი ქმარია, მაგრამ კარგი მამაა. ძალიან კარგი მამა. დარწმუნებული ვარ ამაზე ბევრს იფიქრებდა.

მენელაოსი: გინდა შენ ეს, თუ-არა, შენი შვილი უკვე არის საჯარო ფიგურა და ამას ვერსად წაუხვალ.

აგამემნონი: და ამიტომ რა?

ეგისთოსი: ხო, არა, აშკარად ბევრი აქვს ნაფიქრი. იმხელა წერილია... და აშკარად აღელვებული წერდა.

კლიტემნესტრა: დარწმუნებული ვარ, ძალიან კარგი სპეციალისტები არიან... სხვანაირად ამ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა. თან მანდ ხომ წერია, ალბათ ყურადღება არ მიაქციე. ნახე

მენელაოსი: არ მინდა თავი შეურაცხყოფილად გაგრძნობინო... რადგან ვიცი, ისევ ისტერიკაში შეიძლება ჩავარდე, მაგრამ შენთან შედარებით გაცილებით რადიკალური და მიმზიდველი გამოსვლები აქვს...

კლიტემნესტრა: ქორწინების იმიტაცია. ოჯახის იმიტაცია. სიყვარულის იმიტაცია.

აგამემნონი: რომელი გამოსვლები? რაღაცებს ბოდავს!

კლიტემნესტრა: ანუ როლური თამაშებით ხდება გამოყვანა ამ მდგომარეობიდან.

ეგისთოსი: უბრალოდ არ ვიცი... ეს ოქსიტოსინით მკურნალობა... არ ვიცი.

კლიტემნესტრა: ყველაფრისთვის მზად ვარ. არ მინდა ჩემმა შვილმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულოს.

აგამემნონი: როგორ შეგიძლია ამ ყველაფერს სერიოზულად შეხედო?

ეგისთოსი: რა თქმა უნდა.

მენელაოსი: ფაქტია ათასობით ადამიანი უსმენს, უყურებს, ელოდება... მიმდევრები ყავს.

აგამემნონი: მერე?

მენელაოსი: რა მერე? არ იცი შენით - რაც?

ეგისთოსი: ნუ ტირი,

აგამემნონი: ვიცი, მაგრამ რა აუცილებელი, რომ მოვკლა?

ეგისთოსი: მოდი ჩემთან.

მენელაოსი: მე მგონი იმის ახსნა არ უნდა მიწევდეს, რომ მოკვლა და მსხვერპლშეწირვა სხვადასხვა რამეა.

აგამემნონი: დიდი შეღავათი მისთვის!!!

მენელაოსი: დიახ! ზუსტადაც დიდი შეღავათი. მაგის მეტს არაფერს ამბობს... ღმერთო ჩემო! მთელმა ქვეყანამ იცის, რომ ისედაც სიკვდილი უნდა.

კლიტემნესტრა: წარმოიდგინე, მას არავინ ჰყავს, ვინც ასე მოეხვევა,

აგამემნონი: ეს იმას არ ნიშნავს, რომ მართლა სიკვდილი უნდა.

კლიტემნესტრა: აკოცებს.

მენელაოსი: აბა, რას ნიშნავს?

კლიტემნესტრა: მასზე იზრუნებს.

აგამემნონი: იმას, რომ ავადაა...

მენელაოსი: მაპატიე, მაგრამ ამ სასოწარკვეთის მასშტაბს შენნაირი საცოდავები ვერასოდეს მიხვდებიან...

აგამემნონი: რა?

მენელაოსი: რაც გაიგე.

აგამემნონი: ვერ გავიგე.

კლიტემნესტრა: იქ კი ეყოლება საყვარელი მამაკაცი. თავისივე შერჩეული. ის მოუვლის, მოუფრთხილდება, მასზე იზრუნებს, მოეფერება, როცა დასჭირდება!

მენელაოსი: რა მნიშვნელობა აქვს, თვითონ, ყოველ შემთხვავაში ასე ფიქრობს. მისი ბოლო მიმართვა არ მოისმინე?

კლიტემნესტრა: პერიოდულად ოქსიტოსინის ინექციასაც გაუკეთებენ.

აგამემნონი: შენ რა, ყველაფერს აკონტროლებ?

კლიტემნესტრა: ხომ იცი, ოქსიტოსინს სიყვარულის ჰორმონი უწოდეს მეცნიერებმა.

ეგისთოსი: შენ კი ჩემი ოქსიტოსინი ხარ.

მენელაოსი: მოკლედ, ერთი რამ ცხადია: შენს შვილს სიკვდილი უნდა და საბედნიეროდ, ღვთის წყალობით, შესაძლებლობა ეძლევა მსხვერპლად შეეწიროს სამშოლოს კეთილდღეობას და მე დარწმუნებული ვარ, რომ ის თავადაც აღტაცებული იქნება ამ იდეით, შენგან განსხვავებით და იცი რატომ?

იმიტომ, რომ!

ცხოვრებაში პირველად, რეალურად შეძლებს რაღაც მაინც გააკეთოს.

კლიტემნესტრა: მიყვარხარ. ხომ წამოგვყვები?

კლიტემნესტრა და ეგისთოსი ერთმანეთს კოცნიან.

ეგისთოსი: აბა, ვინ უნდა წაგიყვანოთ, სხვამ?

აგამემნონი: 13 წლისაა. გახსოვს, რას აკეთებდი 13 წლის რომ იყავი?

მენელაოსი: ახლა სულ სხვა თაობაა.

აგამემნონი: რა შუაშია თაობა.

მენელაოსი: ამათ ბრძოლა უნდათ! ამათ ქვეყანა აქვთ დასაცავი. ამათ თავიანთი სიტყვა აქვთ სათქმელი!

აგამემნონი: იცი, ბოლოს როდის მელაპარაკა?

მენელაოსი: აღარ გვინდა ამ დრამატული ისტორიის გახსენება, გთხოვ, მეც ადამიანი ვარ. მეც მაქვს გული... და ბოლოს და ბოლოს შენი შვილი, ჩემი ძმისშვილია!

მომისმინე. მოდი, მშვიდად ვილაპარაკოთ. ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე.

აგამემნონი: მერე, როგორ ვიცხოვრო?

მენელაოსი: როგორც აქამდე ცხოვრობდი.

აგამემნონი: გახსოვს ის ოჯახი?

მენელაოსი: რომელი?

აგამემნონი: ყველა ერთად რომ დავხოცეთ.

მენელაოსი: რომელს იხსენებ.

აგამემნონი: ხორცის ბიზნესზე იყო/

მენელაოსი: რატომ იხსენებ.

აგამემნონი: იმ კაცმა გახსოვს რა მითხრა?

მენელაოსი: მახსოვს.

‘

აგამემნონი: ალბათ მაცივარში ხორცის ადგილას არ უნდა შეგვეტენა. ზედმეტი მოგვივიდა.

მენელაოსი: რაც გითხრა, მხოლოდ მაგის გამო იმსახურებდა.

აგამემნონა: სიმწრისგან დამწყევლა. სხვა რა შეეძლო.

მენელაოსი: და შენც სიმწრისგან საყინულეში შეტენე ირმების მთელი ჯოგის მაგივრად.... დიდი ამბავი. სამაგიეროდ ის პანთეონში დაასაფლავეს, შენ კი ჯერ კიდევ ცოცხალი ხარ.

აგამემნონი: მეშინია.

მენელაოსი: შიში...

აგამემნონი: შიშს ვერ ვიცილებ, მაკანკალებს!

მენელაოსი: შიში თანამედროვე ადამიანის განუყრელი თანამგზავრია...

ეპიდემიაააა

შიშის ეპიდემიაა

სამყარო სისხლისფერ ბნელეთში ჩაფლულა.

უდანაშაულოთ სისხლში აქვთ გასვრილი უამრავს ხელები!

ამდენი ომები, ამდენი ტერაქტი!

რამდენი ხალხია უწყალოდ ნახოცი, ვერ დათვლის ვერავინ!

სისხლის ეპოქა.

შიშისა და მარტოობის ეპოქა.

იცი რა უწუოდეს მეცნიერებმა 21-ე საუკუნეს? მარტოობის საუკუნე.

მე არ მინდა მარტოობის საუკუნის შვილი მერქვას.

დეპრესიისგან განკურნების საყოველთაო პროგრამა უნდა დავაფინანსოთ. ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი, ჩვენს გარდა ამას ვერავინ იზამს.

ყველა უნდა გავერთიანდეთ ამ სენის წინააღმდეგ. კინო, არასამთავროებოები, ეკლესია, მუსიკოსები, მომღელები, რიგითი მუშები თუ მაღალი იერარქები, ყველა უნდა გავერთიანდეთ, თორემ დარდი და დეპრესია ყველას მოგვკლავს, გაგვანადგურებს.

მორმონები, მორმონებიც უნდა ჩაერთონ ამაში!

აუცილებლად! და თეატრიც!

თორემ გაჩერდება ყველაფერი. ადამიანები დარჩებიან უმუშევრები. მსხვილი კორპორაციები გაკოტრდებიან. შეჩერდება ტურისტული მიმოსვლა.

წარმოდგენაც კი არ მინდა რა მოხდება სუპერ და ჰიპერმარკეტებში.

ადამიანები იყიდიან პროდუქტებს, თაროებს დააცარიელებენ და დაწვებიან და ისე, რომ ერთ სნიკერსსაც კი არ გაკბეჩენ. მშვიდად ძილს მიეცემიან.

შენი სასტუმრო, **OLD GOLD 90’S** დაიხურება აგამემნონ.

რადგან მომხმარებელი უკვე ისედაც ვეღარ აუვა არნაცხოვრები ცხოვრების ნოსტალგიას. ისედაც ყველა დაიხოცება ამით.

აღარავის დაატკბობს ვეიპორვეივ ჰანგები დაძველების ეფექტის მქონე რადიოდან,

და იმ ლამაზტრაკა ბიჭ ბარმენებზეც აღარავის აუდგება, რადგან ყველას ერთი რამ ენდომება.

-ძვირფასო, მალე შეჭამე და წავიდეთ და მოვკვდეთ ჩვენს კინგ საიზ საწოლში.

ეტყვის ღრმად ახალგაზრდა ქალი თავის თეთრპერანგიან მეუღლეს, რომელმაც დღეს უკვე ხუთი შეხვედრა ჩაატარა კრახით, რადგან ხუთივე პარტნიორი დეპრესიაში იყო და ყველა მათგანი ტიროდა და ყავაში ეცემოდა მათი ცრემლები

და შენ რას იზამ ამ დროს, ჩემო ძვირფასო, ჩემო ძმაო. გამჭვირვალე ფანჯრიდან მომზირალი ქალაქს გადახედავ და ამოგმინვას სულს ამოაყოლებ, რადგან შენი შვილიც დეპრესიით მომაკვდავი იწვება საკუთარ საძინებელში, თავის კერძო საკუთრებაში, რომელიც მნიშვნელოვანი აღარც კია, კერძოა თუ საზოგადო?

უფალი ერთია, მას სიყვარული ჰქვია!

მას თანასწორობა ჰქვია მას ჰქვია ბედნიერება და გამუდმებული კმაყოფილება ანგელოზების გარემოცვაში

ღმერთიც და ალაჰიც, არაცერთი ამ სისხლის გუბეებს არ გვაპატიებს!

უნდა გავაქროთ სასროლი ბომბები!

ვერაფერს მოვიგებთ უბრალოდ გავწყდებით ამდენი ომებით...

ომებს კი ისინი იწყებენ, ვინც უბედურია, ვისაც აღარაფერი აქვს საომარი!

დაგავიწყდა, როგორ ვომოდით?

ჩვენ რა განა ასეთები არ ვიყავით?

მაგრამ ახლა

ჩვენი იარაღი მშვიდობაა...

ჩვენ არავისი არ გვეშინია

შიშობს ცოდვილი.

დეპრესია ცოდვას მუდამ თან ახლავს.

დეპრესია მოაქვს უყვარულობას. რადგან უმოყვასო კაცი მუდამ შიშობს, ცოდვილს დეპრესია კლავს. დეპრესიას შიში შობს. ღვთის შიში, ჩემო ძმაო.

წმინდა კი ხარობს.

ხარობს, ჩემო ძმაო!

მაშ, გაიღიმე, რადგან სისხლით განიწმინდები, რადგან შენი წმინდა ქალწული ყველა შენს სისხლს ერთად აწონის

დააპურებს დამშეულ სულებს საიქიოში

შენ კი სიხარულით მიმოივლი მინდვრებს და ველებს,

რადგან გეცოდინება, რომ ყველაფერი გააკეთე

რომ ცა ისევ ცა იყოს, მზე ისევ მზეებრ ანათებდეს, სიყვარული სუფევდეს ქვეყანაზე

სიმდიდრე,

ხვავი,

ბარაქა

ბრწყინვალება არ მოგეშლება, და ეგ შენი წითელი ხელები ოქროდ გადაგექცევა,

რადგან მსხვერპლი გაღებული სიკეთისათვს მადლია ოქროდ ბოძებული სულიწმინდისგან.

აგამემნონი: რწმენა მომეცი!

ღმერთმა ხომ იცის, ჩემი სასტუმროს წარმატების გარდა სხვა არაფერი მინატრია. ღმერთო, ღმერთო! რატომ მიმატოვე ამ სიძნელის დროს! მე ხომ მეტი არაფერი მითხოვია სასტუმროს გარდა.

მენელაოსი: მიეცი რწმენა, ღმერთო, აგამემნონს!

მიეცი რწმენა.

აგამემნონი: ყველაფერი ისე გვიანია.

მენელაოსი: ჯერ მხოლოდ ახლა თენდება, ცას უყურე და შეეგებე,

მადლობა ღმერთს, რომ კიდევ ერთი დილა ჩვენთვის გათენდა.

თენდება. მზე საშინლად ნელა ამოდის.

05:00

შვედეთის პრინცი ნაჯახით ხელში ეგებება მზის ამოსვლას . წელს ზემოთ შიშველია. მღერის: swing slow, sweet chariot. სახეზე წყალს შეისხამს. თმებს დაისველებს და იწყებს შეშის ჩეხვას.

რა კარგია, რომ მთავრდება. ასე მომესმა.

სახლი სინათლით სავსეა. იფიგენიას ოთახი ცარიელია. ყველაფერი დალაგებული და მოწესრიგებულია. ფანჯრები გაღებული. ელექტრა სასტუმრო ოთახში ზის დიდ მაგიდასთან და თანაგუნდელებს ხვდება ონლაინ. ნაჩუქარი პომერანული შპიცი უგზო-უკვლოდ დარბის.

ელექტრა: ვიცი გიკვირთ. ვიცი დაბნეულები ხართ. ვიცი, მომავალი ბუნდოვნად ჩანს.

ვიცი, შეიძლება აქ ახლა ჩემს დას ელოდით, ამიტომ მინდა გთხოვოთ, ყურადღებით მომისმინოთ და გამიგოთ, რადგან სწორედ ახლა, როცა ის აქ ფიზიკურადაც აღარაა, ჩვენთვის გადამწყვეტი ბრძოლის პირველი რაუნდი დგება და მე - მხოლოდ თქვენი მხარდაჭერის იმედი მაქვს! მხოლოდ თქვენი, თუმცა ჩვენი ძალა, ჩვენს უმცირესობაშია.

გთხოვთ, ნუ გამაწყვეტინებთ, ჩემთვის ახლა ლაპარაკი განსაკუთრებით მძიმეა, გპირდებით, დღეს ჩემგან მხოლოდ სიმართლეს მოისმენთ.

მაგრამ სანამ იფიგენიაზე, მამაჩემზე, საერთოდ ჩემი ოჯახის ტრაგედიაზე მოგიყვებით, მინდა ყველამ გავიაზროთ, რომ გამარჯვების გარდა არანაირი გზა არ გვაქვს. ბრძოლა ჯერ მხოლოდ ახლა იწყება და თითოეული ჩვენგანი ვალდებულია გადალახოს შიში, ხელში აიღოს ნებისმიერი იარაღი და იბრძოლოს.

პაუზა

რევოლუციაზე ჩვენ არაერთხელ გვილაპარაკია, მაგრამ მინდა, კიდევ შეგახსენოთ, რაზე ვწუხვართ, რისი განადგურება გვსურს, რას ვებრძვით და ვის წინააღმდეგ ვერთიანდებით.

პაუზა

ჩვენ დავიბადეთ უზრუნველყოფილ გარემოში, ჩვენ გვქონდა განათლების მიღების ფუფუნება, ყველაფრით უზრუნველყოფილები ვიყავით და ვართ, ჩვენი თანატოლები კი, სადღაც, სოფლებში, განუვითარებელ და არაადამიანურ პირობებში ცხოვრობენ. ჩვენ მათი ხმა ვართ, რადგან მათ ხმამაღლა ყვირილიც კი არ შეუძლიათ!

ჰო, ჩვენ მათ წინაშე ჩადენილი დანაშაულის ხმაც ვართ! ჩვენ დამნაშავეები ვართ. ჩვენ დამნაშავეები ვართ სამყაროს იმ ნაწილის წინაშე, ვისაც ახლა შიმშილით სული ხდება, ვინც იძულებულია იცხოვროს მონობაში, შეეგუოს ჩაგვრას, იმუშაოს არაადამიანურ პირობებში იმისთვის, რომ ჩვენმა მშობლებმა არსებობის უფლება დაუტოვონ. იცით, რომ ტანსაცმელს, რომელსაც ჩვენ გვაცმევენ, საჭმელს, რომლითაც ვიკვებებით, ავეჯი, საწოლები რომლებზეც გვძინავს, იატაკი, რომელზეც დავდივართ, ვერასოდეს ექნება მას, ვინც მისი შემქმნელია? ჩვენ იმაზე უარესები ვართ, ვიდრე მკვლელები არიან. რადგან ჩვენ ნელ-ნელა ვწოვთ სიცოცხლეს მთელ სამყაროს.

აბა, ვიღას ვებრძვით, არა? იკითხავთ, როცა თავად ვართ ეს გაუმაძღარი ღორები. რა არის ჩვენი გეგმა? ვის ვუწყობთ რევოლუციას? ამაზე მოგვიანებით.

მე ვიცი, რომ ეს ყველაფერი მშვენივრად გესმით, მაგრამ გახსენებთ, რადგან ახლა ჩვენთვის ძალიან მნიშნელოვანი ადამიანი, ჩემი და, ვინც ჩვენი ლიდერი იყო, მძიმედაა ავად.

ჰო, ასეა.

დეპრესია. თანამედროვე სამყაროს შავი ჭირი.

სიმართლე უნდა გითხრათ, ყველა პოსტი, ყველა ავატარვიდეო, ყველა მიმართვა, რაც ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში განთავსდა ჩვენს პლატფორმაზე ჩემი მომზადებულია. იფიგენია ამ დროის მანძილზე საწოლიდან თითქმის არ ამდგარა. არ მინდა ვაღიარო, მაგრამ ვფიქრობ სრულიად საწინააღმდეგო იდეოლოგიამ მასში ყველაფერი გაანადგურა. სასოწარკვეთა და იმედგაცრუება. აი, ესაა რასაც ის გადმოგდებდათ, რომ არა მე. მე რომ არ ამეღო მისი ექაუნთის მართვა საკუთარ თავზე. იმედი ვიქონიოთ, რომ თერაპია წარმატებით ჩაივლის. მე ამაში დარწმუნებული ვარ და მინდა თქვენც ამის გწამდეთ, მაგრამ ამავე დროს მინდა, მზად იყოთ იმისთვისაც, რომ შეიძლება ის ჩვენს ლიდერშიფს ვეღარ დაუბრუნდეს.

პაუზა

ის ახლა შორსაა, მაგრამ იქაა, სადაც მშვიდობა ბრძოლის საგანს აღარ წამოადგენს. სადაც ადამიანები ერთმანეთზე ზრუნავენ. სადაც მრავალფეროვნება არაა წამების იარაღი, სადაც სიყვარული და თანასწორობა ეკუთვნის ყველას! სადაც პოლიტიკოსები მოსახლეობის ყვლეფის ხარჯზე არ მდიდრდებიან და სადაც უმაღლესი ღირებულება ადამიანის თავისუფლებაა!

ჩვენ კი ეს ყველაფერი ჯერ კიდევ მოსაპოვებელი გვაქვს. ამიტომაც არ გვაქვს უფლება დავნებდეთ.

ბევრს ვფიქრობდი იმაზე, მომემართა თუ არა თქვენთვის. არის თუ არა ახლა ამის დრო. მაგრამ იცით რა? როცა ტელევიზორში ისიც ვნახე, როგორ მოექცნენ საწყალ მამაჩემს, როცა დავინახე როგორ ძლივს-ძლივობით ჩასვეს იფიგენია მანქანაში, რადგან სიარულის უნარიც კი აღარ ჰქონდა, მაშინ დავფიქრდი, ახლა თუ არა როდის? მე თუ არა, სხვა ვინ? მივხვდი, რომ უნდა დაგლაპარაკებოდით. მივხდვი, რომ ჩემი დის დაწყებული საქმე მე უნდა გავაგრძელო.

ამიტომ გადავიწყვიტე თქვენთვის მეთქვა: ჩაიხედეთ სარკეში, ჩაიხედეთ თქვენს სუფთა სულში, სანამ ჯერ კიდევ სუფთაა და იკითხეთ: მე თუ არა, ვინ? ახლა თუ არა, როდის?

პაუზა

შემდეგ იცით რაც უნდა გააკეთოთ. მომდევნო ინტრუქციებს ეტაპობრივად მოგვაწვდიან. ბოლო რამდენიმე თვე სწორედ ამითვის ვემზადებოდით.

პაუზა

და ბოლოს, გმადლობთ!

წინასწარ გმადლობთ სამყაროს გადარჩენისთვის!

ვიდეოს დასასრული.

ჰაუზა

ჰე, ვარგა? კაია?

ნახავენ წამება როგორ უნდა.

გამწარებული ხურავს ლეპტოპს

რა კარგია, რომ მთავრდება. ასე მომესმა.

ტყე. ღამე. აგამემნონის საწოლი. საწოლში აგამემნონს და იფიგენიას ჩახუტებულებს სძინავთ. კლიტემნესტრა საწოლზე ზის. დგება და სასეირნოდ გადის ტყეში. ეგისთოსს მანქანაში ჩასძინებია.

იფიგენია: მამა

აგამემნონი: ჰო

იფიგენია: გღვიძავს?

აგამემნონი: ჰო

მითხარი, რა იყო.

იფიგენია: არაფერი.

აგამემნონი: დაიძინე,

იფიგენია: რომელი საათია?

აგამემნონი: 12 ხდება

იფიგენია: ღამის?

აგამემნონი: ჰო

‘

იფიგენია: გზაში ირმები ვნახეთ.

აგამემნონი: მერე?

იფიგენია: არაფერი. გზაზე გადადიოდნენ. 3 თუ 4.

აგამემნონი: მანქანა გააჩერეთ?

იფიგენია: კი, დედას ვთხოვე, მაგრამ მალევე წამოვედით

აგამემნონი: შენ ხომ ძალიან გიყვარს ირმები.

იფიგენია: კი

აგამემნონი: გიყიდი.

იფიგენია: არა, ყიდვა არ მინდა.

აგამემნონი: როცა მოგინდება მაშინ ნახავ ხოლმე.

იფიგენია: ფეხი ქონდა გაჭრილი ერთ-ერთს და თოვლში წითელი ნაფეხურები იყო.

აგამემნონი: ალბათ გაიკაწრა.

იფიგენია: არა, ფეხი საერთოდ არ ჰქონდა.

აგამემნონი: დარწმუნებული ხარ?

იფიგენია: კი, სამფეხა ირემი იყო.

აგამემნონი: აბა წითელი ნაფეხურებიო?

იფიგენია: ესე იგი წითელი ხაზი იყო და არა პატარა ნაფეხურები.

აგამემნონი: ალბათ დაგესიზმრა, ჩემო პატარა.

იფიგენია: არა, მერე გზაზე ფეხიც დავინახეთ.

აგამემნონი: ოოოჰ! რას ამბობ, დედამ რა გითხრა.

იფიგენია: დედამ თვალებზე ხელი ამაფარა. მე კიდე ვუკბინე.

აგამემნონი: რას ამბობ, დედას რატო უკბინე.

იფიგენია: იმიტო რო ხელი ამაფარა. და ისე სწრაფად გავიარეთ ის ადგილი, რომ ვერ დავიმახსოვრე, რაც დავინახე.

აგამემნონი: და ისეთი რა უნდა ყოფილიყო, ალბათ ვიღაცამ ღამით ვერ დაინახა და დაეჯახა.

იფიგენია: ხალხიც დავინახე.

აგამემნონი: ვინ ხალხი?

იფიგენია: არ ვიცი, მონადირეებს ჰგავდნენ. დედამ არ დამაცადა არაფრის დანახვა.

აგამემნონი: სამაგიეროდ ახლა აქ ხარ, ჩემთან, უსაფრთხოდ.

იფიგენია: მაგრამ, როცა ის ტერიტორია გადმოვკვეთეთ, რაღაც საზღვარივით, მგონი იმ კაცებსაც იგივენაირად ეცვათ.

აგამემნონი: დაცვა! აქაურობას ხომ დაცვა ყავს! მათი წყალობით აქ მტერი ვერასდროს შემოვა.

იფიგენია: სად აქ?

აგამემნონი: ამ ტერიტორიაზე.

‘

ელექტრა იფიგენიას ოთახში შედის. საწოლზე ჯდება. კედელს უყურებს.

იფიგენია: სანამ აქ წამოხვიდოდი დამპირდი, რომ ყველაფერს შეცვლიდი, ყველა კარგად იქნებოდა და მალე დაბრუნდებოდი.

აგამემნონი: ამიტომაც ვარ აქ!

იფიგენია: აქ რას იცავთ?

აგამემნონი: ტყეს.

იფიგენია: ვისგან.

აგამემნონი: მტრისგან.

‘

ელექტრა: ალბათ დიდხანს დატოვებენ.

‘

სანამ დაბრუნდება ყველაფერს მე უნდა მივხედო.

‘

გისმენ.

სიცარიელეა შენი მეგზური

აგამემნონი: გითხრა დედაშენმა აქ რატომ ჩამოგიყვანეთ?

იფიგენია: კი.

აგამემნონი: შენი დახმარება გვჭირდება.

იფიგენია: მამას მოვენატრეთო.

აგამემნონი: რა თქმა უნდა! რა თქმა უნდა, მომენატრე! სხვა რამის თქმა მინდოდა.

ვნახე, რომ შენ და ელექტრა საპროტესტო ტალღას უერთდებით. შენი ვიდეო მიმართვაც მოვისმინე.

იფიგენია: და?

აგამემნონი: არა, არაფერი, ომი არც ჩვენ არ გვინდა. გვინდა, რომ როგორმე დამთავრდეს ეს ომი და ჩვენი გამარჯვების გარეშე ეს ვერ მოხდება. რადგან, როგორ აგიხსნა, შენ

ჯერ ძალიან პატარა ხარ იმისთვის, რომ ეს ყველაფერი გაიგო, თუმცა საკმარისად ჭკვიანი, რომ მომისმინო და ჩემი ახსნილი გაიგო, ყველაფერი ხომ ჩემგან ისწავლე? გახსოვს, როგორ ვმეცადინეობდით ხოლმე ერთად?

იფიგენია: მახსოვს.

აგამემნონი: ხოდა, ახლაც მინდა ისე მომისმინო, როგორც მაშინ, კალთაში რომ მეჯექი ხოლმე და ჩემს წაკითხულ ზღაპრებზე იძინებდი..

იფიგენია: არ მეძინება.

აგამემნონი: რატომ ასე უხეშად?

‘

კლიტემნესტრა: ელექტრაზე ვღელავ. მარტო არ უნდა დაგვეტოვებინა.

ეგისთოსი: ნუ ღელავ, პატარა ხომ აღარაა...

კლიტემნესტრა: არა, უკვე ჩამოყალიბებული მოზარდია, მაგრამ გუშინ ცოტა წავიკამათეთ, ამის გამო ვღელავ.

ეგისთოსი: ნუ ღელავ, ელექტრა ჭკვიანი გოგოა და ყველაფერს დაივიწყებს.

ელექტრა: რომელ უჯრაში?

სიტყვები: ცვლილება, წარსული, ისტორია, მეხსიერება, ახალი :დაგავიწყდება

კლიტემნესტრა თუ ჭკვიანი გოგოა, არაფერსაც არ დაივიწყებს.

ეგისთოსი: ჰოდა, ბიძამისივით დაიბოღმება!

ელექტრა: ახლავე.

ელექტრა დგება და უჯრიდან სახრახნს ამოიღებს.

კლიტემნესტრა: რა სისულელეა, იმ მდაბიო კაცს ჩემი არცერთი შვილი არ დაემსგავსება.

ელექტრა: ახლა საით?

ეგისთოსი: შენთვის რაღაც მაქვს.

კლიტემნესტრა: რა?

საბარგულიდან გალიას ამოიღებს, გალიაში ციყვი ზის. ელექტრა საწოლს ექაჩება, რომ გამოწიოს.

კლიტემნესტრა: ეს რა არის?

ეგისთოსი: ციყვი დავიჭირე შენთვის.

‘

კლიტემნესტრა: დიდი მადლობა! შესანიშნავი ციყვია!

‘

აგამემნონი: რატომ ხარ ასეთი უხეში, იფიგენია?

აგამემნონთან მენელაოსი შემოდის.

მენელაოსი: აჰ! ჩემი ძვირფასო ძმისშვილები?!

აგამემნონი: ჩუმად ცოტა, ორესტეს სძინავს.

მენალაოსი: ელექტრა?

‘

როგორ ხარ, პატარა პრინცესა, როგორ არის ძილის საქმე?

‘

იფიგენია: როგორც იყო.

აგამემნონი: ცოტა ხანს ეძინა.

იფიგენია: საიდან მოიტანე?

აგამემნონი: წეღან, რომ გამაღვიძე, მანამდე არ გეძინა?

იფიგენია: არა და არც დავიძინებ.

მენელაოსი: ოოოოო, როგორ შეილება?! არ შეილება ეგრე. უნდა გამოიძინო. იმხელა ბრძოლა გაქვს მოსაგები!

იფიგენია: ჰო.

მენელაოსი: თქვენი თაობა ამ ბრძოლიდან გამარჯვებული უნდა გამოვიდეს!

იფიგენია: ნამდვილად.

მენელაოსი: ნამდვილად!

იფიგენია: მაგარი ხარ.

‘

ელექტრა: რა მძიმეა!

ცხოვრება ულიმიტო გამოწვევების ერთიანი პაკეტი

მენელაოსი: როგორი უხეში ხარ, მე შენ ეგეთი არ მახსოვდი! შენც გეუბნები და მამაშენსაც ვუთხარი, უნდა გამოიძინო, ძალიან ხარ გაავებული და თვალები გაქვს ჩაშავებული.

‘

აგამემნონი: ასე ნუ ელაპარაკები ბიძაშენს, უხერხულია.

იფიგენია: საერთოდ არ ველაპარაკები.

‘

აგამემნონი: საყვარელო. შენ რა, განა მე არ მენდობი?

‘

მითხარი.

არ დამიმალო.

იფიგენია: მამა...

‘

აგამემნონი: არა, მითხარი, პირდაპირ მითხარი. მე მენდობი, თუ-არა.

‘

იფიგენია: შენ რა შუაში ხარ?

ელექტრა: ყველა პარკეტი ერთნაირია, რა გავიგო?

ელექტრა ეძებს პარკეტს, რომელსაც ძალიან პატარა ხრახნები აქვს

მომავალში პარკეტს ხედავ?

აგამემნონი: ძვირფასო, ვხედავ, რომ შენ, შენი და, შენი მეგობრები, კეთილშობილური იდეებით ხართ განმსჭვალულნი, გინდათ ქვეყანა უკეთესობისკენ შეცვალოთ. მე ვხედავ ამ ძალას თქვენში. მაგრამ თუ შენ არ / მენდობი...

მენელაოსი: ჰო, თქვენი თაობა თქვენ სათქმელს იტყვით.

აგამემნონი: მენელაოს, გთხოვ.

მოკლედ, მე ვხედავ, რომ შენ გაქვს უნარი, აიყოლიო თანატოლები, შენ ხომ უკვე გყავს შენი თანამებრძოლები, რამდენი თანამებრძოლი გყავს უკვე, არა? ასე არაა? იმდენი ფოლოვერი გყავს... ვარსკვლავებიც კი ინატრებდნენ. ჩვენ ვხედავთ, რომ შენ შეგიძლია დიდი ცვლილებების მოხდენა. შენ შეგიძლია, რომ ისტორია ახალი ფურცლიდან დაწერო.

მენელაოსი: ამიტომ არ შეიძლება შენნაირი ჭკვიანი ახალგაზრდები, ბავშვები თუნდაც... დეპრესიაში იყვნენ და უძილობით იხოცებოდნენ! ეს არ შეიძლება! ესაა დანაშაული, პირდაპირ გეტყვი!

არა, შენ შეიძლება ღმერთის არ გწამს! შეიძლება ათეისტი ხარ, ეს შენი გადასაწყვეტია, და მე ცხადია, ამაში არ ვერევი, მაგრამ ჩემი გადმოსახედიდან, ანუ ადამიანის გადმოსახედიდან, რომელიც სამყაროს შექმნის ღვთაებრივ კანონზომიერებას აღიარებს ეს ასეა... და არ შემიძლია ეს არ გითხრა.

იფიგენია: cool!

აგამემნონი: არ გინდა ეს უხეშობა!

მენელაოსი: ნუ უყვირი ბავშვს!

ორესტეს ეღვიძება და ტირის. ელექტრა ჰოულობს სახრახნს და იწყებს ჰარკეტის აღებას.

კლიტემნესტრა: გაიღვიძა!

მენელაოსი: შენი ძმა არ გიყვარს?

ეგისთოსი: ამ სიჩუმეში?

იფიგენია: რა შეკითხვაა?

კლიტემნესტრა: ალბათ კოშმარი დაესიზმრა.

მენელაოსი: შენი საბრალო ძმა... არც კი იცი რა ელოდება, შენი უპასუხისმგებლობის გამო.

ეგისთოსი: ჯერ პატარაა.

იფიგენია: რა უნდა?

კლიტემნესტრა: დაბადებიდან საშინელებები ესიზმრება.

ეგისთოსი: რა იცი?

მენელაოსი: მამიკოს არ უთქვამს ჯერ შენთვის? არ ჩაგიკაკლა უკვე?

კლიტემნესტრა: არ გჯერა?

იფიგენია: რა?

ეგისთოსი: ბავშვები ანგელოზები არიან.

კლიტემნესტრა: სისულელეს ნუ ლაპარაკობ.

ეგისთოსი: არ გჯერა?

აგამემნონი: ტირის, რა დროს ესაა!

კლიტემნესტრა: მე იმის მჯერა, რომ ორესტეს ნათელი სიზმრები არცერთი ლოგიკით არ ექნება, თუმცა შეიძლება გადაიხადა და შესცივდა. არ ვიცი... აუცილებელი არაა, მუდმივად ასეთი ფატალურობის გრძნობა დამყვებოდეს.

ეგისთოსი: დაგყვება?

მენელაოსი: ჯერ არ უთქვამს, რომ თავგანწირვის უდიდესი შესაძლებლობა მოგეცა?

კლიტემნესტრა: სულ აქაა.

ეგისთოსი: ვინ?

იფიგენია: რა?

გადმოგირეკავ, თუ რამის გახსნება იქნება საჭირო, მაგრამ არამგონია.

კლიტემნესტრა: ცრემლები.

ეგისთოსი: რატომ სიხარულო?

მენელაოსი: რომ შეგიძლია დაწყებული ბრძოლა რაც შეიძლება სწრაფად და ეფექტურად მიიყვანო ბოლომდე.

კლიტემნესტრა: სულ აქაა, რაც დრო გადის უფრო აქაა. მაშინაც აქ იყო, როცა აი, აქ, ზუსტად ამ ადგილას -

იფიგენია: რა ბრძოლა?

კლიტემნესტრა: იცი, რა იყო აქ, დაახლოებით 20 წლის წინ? ოდნავ მეტის.

მენელაოსი: შენი ბრძოლა!

ეგისთოსი: მაშინაც ტყე იქნებოდა.

იფიგენია: მე ვიბრძვი?

წინასწარ მოკვდი, სანამ იბრძოლებ

კლიტემნესტრა: რა საყვარელი ხარ!

ეგისთოსი: რა იყო.

ელექტრა: გვერდიდან, რომელ მხარეს?

აგამემნონი: მენელაოს, იქნებ / მოგვიანებით ავუხსნათ ყველაფერი.

მენელაოსი: დიახ, ჩემო პატარა, შენი პატარა ბრძოლა შეიძლება ჩვენს საერთო დიდ ბრძოლში შეუერთდეს, როგორც ნაკადულები ოკეანეეებს.

იფიგენია: მამა, რა სერიოზული ბიძა მყოლია, არ მეგონა.

მენელაოსი: კიდევ ბევრი რამ არ იცი.

იფიგენია: არაფერი. საერთოდ არაფერი.

მენელაოსი: სარკაზმი და დაცინვა ჩემი მოგონილია, ცხვირმოუხოცავო ღლაპო.

აგამემნონი: ბავშვს რანაირად უყურებ.

იფიგენია: ის კაცი შენ ხარ

მენელაოსი: ვინ?

კლიტემნესტრა: მე და აგამემნონმა აქ გავიცანით ერთმანეთი. არც ვიცი ვის მოუვიდა მაშინ თავში აზრად, რომ როკ-მუსიკის ფესტივალი ჩაეტარებინა აი, აქ. ამ ტყეში. შენ წარმოგიდგენია, მაშინ ჩვენთვის ეს რა იყო? სასწაული იყო. ჯერ არ იყო ეს ომი და უბედურება დაწყებული. ყველას უყვარდა ერთმანეთი. რა სიხარული იყო, ვერ წარმოიდგენ!

იფიგენია: მონადირე.

ეგისთოსი: ამიტომ აგეტირა გზაში?

მენელაოსი: რა?

ყოველთვის დაბრუნდები, არა?

კლიტემნესტრა: ჰო. იმდენი რამ გამახსენდა.

იფიგენია: კარგად გაგიცანი, სანამ მეძინა.

აგამემნონი: თავი დაანებე მენელაოს.

მაგრამ მთავრდება. შენს ადგილას გამიხარდებოდა

კლიტემნესტრა: თმები გავიშალეთ, ჰიპებივით ბუმბულები ჩავიწანით. ისეთი ლამაზები ვიყავით. ყველაფერი ისეთი ლამაზი იყო! აგამემნონიც, მენელაოსიც, მათი საძმო! საოცარი ბიჭები იყვნენ. ვგიჟდებოდით გოგოები, რომელი ამოგვერჩია, აღარ ვიცოდით. ისეთი მშობლების, ისეთი ოჯახის შვილები იყვნენ, განათლებულები, ნასწავლები... სხვანაირი მენტალობით... სულ წასვლაზე ოცნებობდნენ, გაქცევა უნდოდათ, მაგრამ ვერ შეძლეს, ზოგმა ოჯახი ვერ დატოვა, ზოგმა ვინ, ზოგმა ვინ... ყველა ვიღაცის გამო დარჩა. იმხელა სიყვარული იყო! ეხლაც მახსოვს, ყველა ერთად ვმღეროდით, იუ არ ე დენსინგ ქვიინ იანგ ენდ სვიით ონლი სევენთიიინ.

ეგისთოსი: იცოდით ინგლისური მაშინ?

კლიტემნესტრა: ვიცოდით რომელია, მაშინ თავისუფლებასთან ზიარების ერთადერთი ენა ინგლისური იყო. ამიტომ ვიცოდით და მართლა 17 წლის ვიყავით და ისე გვიყვარდა ეს სიმღერა! ეხლაც მახსოვს, აგამემნონმა გაიხადა, კი, კი, კი, გაიხადა, და ხეზე ავიდა და იქიდან მიხსნიდა სიყვარულს!

უფრთხილდით შამპანურს და მის საცობს. ეს მნიშნელოვანია!

იფიგენია: სიბნელე მახსოვს. ხელთათმანები. ჯარისკაცები. თუ მონადირეები.

შენი ბრძოლა არ მაინტერესებს. ასე გითხარი, როცა იქ იყავი. არ მაღელვებს. არაფერი, საერთოდ არაფერი. მაგრამ დაბნეული ვარ. ახლა არ ვიცი რა გინდა. გინდა, რომ მოვკვდე?

აგამემნონი: რას ამბობ!

(აგამემნონი იფიგენიას გულში ჩაიკრავს)

შენს ადგილას სერიოზულად შემეშინდებოდა. საცობის.

მენელაოსი: გონს მოეგე! ვერ ხედავ მამაშენს როგორ ანერვიულებ?

იფიგენია: რაღაც გადაირთო. ბოდიშს გიხდით, მაგრამ

კლიტემნესტრა: ეჰ, წარსულია ეს უკვე. რაღაც საშინელი შეცდომა იყო საბოლოოდ ყველაფერი.

იფიგენია: ერთიდან მეორეზე.

კლიტემნესტრა: ამ ფესტივალიდან უკან რომ დავბრუნდით, იცი რა დაგვხვდა? უფრო სწორად არ მახსოვს, ამ ფესტივალიდან დავრუნდით თუ, უბრალოდ აქ ვიყავით საქეიფოდ წამოსულები. არ მახსოვს, შეიძლება ჩემმა გონებამ ასე შეაერთა ეს მოვლენები. უცნაურია, არა?

ეგისთოსი: რა

ელექტრა: კი, განათება დღეს ჩაირთვება.

შობას, სანთლების ანთება არასოდეს არ დაგავიწყდეს!

აგამემნონი: დამიჯერე, გთხოვ.

კლიტემნესტრა: რომ არ მახსოვს სინამდვილეში როგორ მოხდა. ომი როგორ დაიწყო ზუსტად არ მახსოვს. ეს ფესტივალი მახსოვს და მერე უცებ დანგრეული ქალაქი. აფეთქებული სახლები, მკვდრები. ყოველ ნაბიჯზე ვიღაც ყვიროდა, ან რაღაცას გთხოვდა, მაგრამ ვერ ვიგებდი რა უნდოდათ, მერე მე წავედი. ვიფიქრე, მე მაინც გავიქცეოდი.

ეგისთოსი: ასე შეუმჩნევლად ვერ დაიწყებოდა.

ელექტრა: მე ვუთხარი, რომ ახლა ამის დრო არაა და ხალხი გაღიზიანდება-მეთქი, მაგრამ მაინც მოართვევინეს სახლი.

კლიტემნესტრა: მე არ მახსოვს, როგორ დაიწყო.

აგამემნონი: უნდა დამიჯერო. როცა მიჯერებდი ყოველთვის ყველაფერი კარგად იყო. მეც მარტო მაშინ ვარ კარგად, როცა მჯერა, რომ სწორად ვიქცევი.

იფიგენია: ხელი გამიშვი. შენც იქ იყავი. დაგინახე. უყურებდი

აგამემნონი: რა? რა დაინახე?

მართალია. სწორხაზოვანი

იფიგენია: მეძინება.

ეგისთოსი: როდის დაბრუნდი?

იფიგენია: უნდა დავიძინო.

კლიტემნესტრა: მალევე გავიგე, რომ ორსულად ვიყავი. ბუნებრივია აგამემნონს შევატყობინე... მინდოდა მომეცილებინა, არ მინდოდა რაღაცას, მით უმეტეს შვილს, ეს საშინელება შეეხსენებინა ჩემთვის.

ეგისთოსი: ღმერთო... რა მძიმე ცხოვრება გამოგივლია

ელექტრა: ეს რა არის?

კლიტემნესტრა: მოკვლით დამემუქრა, ჩამოფრინდა და წამომიყვანა. ძლივს ვიცანი, შეიძლება არც მანამდე არ ვიცნობდი, ფხიზელს ნანახი სულ რამდენჯერმე მყავდა.

ეგისთოსი: სვამდი?

კლიტემნესტრა: არა.

‘

არ გვინდა ამაზე.

ეგისთოსი: მინდა შენგან ეს ყველაფერი ამოვრეცხო

კლიტემნესტრა: მას შემდეგ აქ ვარ.

‘

ისევ ტირის?

ეგისთოსი: მგონი სხვა მხრიდან მოდის ხმა.

კლიტემნესტრა: მართლა?

ელექტრა: ეს ჩემია?

კედელმა თუ ავტომატი გაპოვნინა, იცოდე, ცუდი ფინალი გარანტირებულია

აგამემნონი: იფიგენია, მართლა იძინებ?

ელექტრა იატაკზე წვება. ისვენებს. ვერ უნდა მივხვდეთ, თამაშობს, თუ მართლა ვინმეს ელაპარაკება.

ეგისთოსი: ხო, იქიდან. შეიძლება რამეს იღებენ.

აგამემნონი: იძინებ, ძვირფასო?

კლიტემნესტრა: შეიძლება რამე ღამის სცენაა, ხო.

ელექტრა: ამის გამოყენების უფლება მაქვს?

აგამემნონი: ტირის შენი ძმა

მენელაოსი: ჯობდა ელექტრა ჩამოგვეყვანა.

აგამემნონი: იფიგენია... მითხარი, თუ იძინებ, უბრალოდ მითხარი.

ელექტრა იფიგენიას ლეპტოპს რთავს, მიკროფონს ასწორებს, ამზადებს ASMR ვიდეოსთვის.

ეგისთოსი: ისე ამ ყველაფრის ფონზე, აქ კინოს გადაღება, მაგარი უცნაური იდეაა.

აგამემნონი: არ მინდა მეტი არაფერი.

კლიტემნესტრა: არა, კინო არაა, გადაცემა მზადდება 90-იანებზე და როგორც ვიცი ამისთვის იღებენ.

აგამემნონი: გთხოვ, მითხარი, იძინებ?

ეგისთოსი: ჰო, რა ვიცი, ხალხი აქ მართლა იხოცება და რაღა კინო უნდათ.

კლიტემნესტრა: ამ უგემოვნო იმბეცილისგან აღარაფერი აღარ მიკვირს. შენ გვიან დაიბადე და არ იცი ეგ ვინაა, ფულ ეიჩდიში გვაყურებინებს სისასტიკეს, რომ შეგვძრას. ერთადერთი ის მაღელვებს, რომ იფიგენიას გადაღებაც უნდათ.

ეგისთოსი: მაგრამ იფიგენია/ როგორ

კლიტემნესტრა: არა, უბრალოდ აგამემნონის გვერდით უნდა იდგეს და ორესტე ეჭიროს. ვცადე გადამეთქმევინებინა, მაგრამ სულ რამდენიმე წამით იქნებაო, ხვეწნა-მუდარა დამიწყო, ასე რომ... არ ვიცი.

აგამემნონი: რამე გაწყენინეთ?

ეგისთოსი: როგორც ოჯახის სიმყარის წარმოსაჩინებლად ალბად?

კლიტემნესტრა: ჰო, ძვირფასო. ოჯახის მომავლის. საერთოდ მომავლის, ალბათ.

აგამემნონი: ძვირფასო, დამიჯერე. თავიდან მეც მეშინოდა, მაგრამ ახლა უკვე თითქმის აღარ მეშინია.

კლიტემნესტრა: ღმერთო, როგორ უყვარს ამ კაცს მეტაფორები!

ეგისთოსი: როგორ არის?

აგამემნონი: მე ვიცი, შენ საკმარისად დიდი ხარ, ეს გაიგო.

კლიტემნესტრა: აგამემნონი? შესანიშნავად!

ეგისთოსი: დილის ნიუსი?

აგამემნონი: შეიძლება, ასაკით პატარა იყო, მაგრამ...

კლიტემნესტრა: ჩემო საყვარელო, როგორი გულუბრყვილო ხარ. მგონი ამიტომ მიყვარხარ.

ეგისთოსი: მოიცა, ნაცემი არ იყო?

მენელაოსი: მადლობელი უნდა იყო.

აგამემნონი: აგრესიის გარეშე!

კლიტემნესტრა: არ ვიცი, კარგი, გახდილი არ მინახავს და სახეზე არაფერი არ ეტყობოდა. ნამდვილად.

აგამემნონი: შენს ასაკში ყველას კი არ ეძლევა შესაძლებლობა სამშობლოსთვის გაწიროს თავი.

კლიტემნესტრა: ძალიან ვნერვიულობ ელექტრაზე. მეშინია, რომ მასაც დავკარგავ. ასე არ უნდა ვექცეოდე.

აგამემნონი: ყველა დაგიმახსოვრებს! შენ გგონია სიცოცხლე მაშინ სრულდება, როცა ფიზიკურად ვკვდებით?

კლიტემნესტრა: უგულო ქალი ვარ! თვითონ უფრო მიწევს დედობას, ვიდრე მე. ყველა ჩვენგანზე ისე ზრუნავს. ის რომ არა, არ ვიცი რა მეშველებოდა, გავგიჟდებოდი. მე კი ისე ეგოისტურად ვექცევი. გუშინ ისეთი საშინელება ვუთხარი...

აგამემნონი: მითხარი,

კლიტემნესტრა: რატომ გავაკეთე ეს... არც ვიცი.

აგამემნონი: გგონია, სიცოცხლე ჩვენი სხეულის მოკვდინებასთან ერთად სრულდება?

კლიტემნესტრა: მოდი, მართლა დავურეკავ.

აგამემნონი: არა. ეს ასე არაა. გმირები სამუდამოდ რჩებიან ჩვენს გულში და მომავალას ანათებენ!

შენი იქნები ჩვენი მომავლის ჩირაღდანი!

მენელაოსი: LIGHT UP! LIGHT UP!

აგამემნონი: შენ ხარ, ვინც იწვის და ანათებს.. შენ ხარ ვინც სამშობლოს გულზე დაიფერფლება.

მენელაოსი: ეს შენი გზაა.

აგამემნონი: მითხარი, ხომ გჯერა ჩემი?

ხომ გჯერა შენი საყვარელი მამის, იფიგენია?

საკმაოდ გრძელი პაუზაა.

კლიტემნესტრა ელექტრას ურეკავს. ელექტრა ყურმილს არ იღებს.

ელექტრა: მართალია, არ უნდა ვუპასუხო. მხოლოდ წინ უნდა ვიყურო.

კლიტემნესტრა: არ პასუხობს. ხომ ვამბობ, ზუსტად ჩემნაირია-მეთქი!

მენელაოსი: როგორ არ გრცხვენია! მამაშენი ყველანაირად ცდილობს შენამდე არ მოიტანოს ის ტანჯვა, რაც ყოველდღიურად უწევს.

ის წამება! ის იარები! ის ღია ჭრილობები, იმ ტკივილის ისტორია, რაც მას სხეულზე აწერია შენთვის არავის წაუკითხავს! აი, ამიტომ ხდება ის, რაც ხდება. კარგად გამოჩნდა, სინამდვილეში რისი მაქნისიც ყოფილხარ.

აგამემნონი: გეყოფა.

მენელაოსი: არა! უნდა იცოდეს! არაფერი არ იციან ამათ. მაგათი წონა სისხლი გვაქვს ჩანთით ნატარები.

იფიგენია: ვათ?

აგამემნონი: არაფერი ძვირფასო. პოლიტიკა რთული საქმეა.

მენელაოსი: ჰო, მეტად რთული! მეტად სარისკო! ზოგჯერ დამღუპველიც, მაგრამ მეტად კეთილშობილურიც, და თავგანწირულთა საქმეც, როგორც პლატონი იტყოდა! თუმცა შენ რა გეცოდინება პლატონი! შენ იცი მარტო წრუკუნი და წუწუნი. ყინული დნება, დედამიწის ფილტვები ნადგურდება! ვეშაპები იხოცებიან! მართლა, შვილო? აქ ხალხიც ვიხოდებით! ცოტა თვალები გაახილეთ! კაცები ვიხოცებით!

არ იცი, რომ მამაშენი წუხელ, კინაღამ წამებით მოკლეს?

აგამემნონი: არ გინდა!

მენელაოსი: მამაშენი ხეზე მიაბეს! ჯერ წიხლები ურტყეს, მერე გაყინული პირსახოცები. იცი ეს რას ნიშნავს?

აგამემნონი: არ გინდა, გეყოფა!

მენელაოსი: პირში ჩათხარეს მერე ეს პირსახოცები! ყელში! რომ კუჭი ამოეღოთ! / ტელევიზორს მაინც არ უყურებთ?

აგამემნონი: არ გინდა!!!

მენელაოსი: არ მინდა? არ მინდა?

აგამემნონი: არ გინდა!

მენალაოსი: გაიხადე.

იფიგენია: მამა...

აგამემნონი: გეყოფა, ძმაო.

მენელაოსი: გაიხადე.

იფიგენია: რა მოხდა?

მენელაოსი: გაიხადე და ანახე!

‘

გაგხადო თუ გაიხდი შენით?

იფიგენია: მამა, დაჭრილი ხარ?

აგამემნონი: მისი ფსიქიკა ვერ გაუძლებს!

იფიგენია: დაჭრილი ხარ?

აგამემნონი: უბრალო ნაკაწრია.

მენელაოსი: ჰო! არის! მამაშენი ოპოზიციონერებმა, ანუ ჩვენი ქვეყნის მტრებმა გაიტაცეს! დაჭრეს, აწამეს, მასზე ფსიქოლოგიურად იძალადეს, მეტი რა ვთქვა...

‘

აუპატიურებდნენ, მე და ჩვენს თანამებრძოლებს რომ არ მიგვესწრო და იქვე არ ამოგვეჟლიტა, ვინც ხელში მოგვხვდებდა!

აი, სიმართლე ესაა ჩემო პროტესტანტო გოგონავ, თუ მართლა ბრძოლა გინდა და რამის შეცვლა, გადაშალე შენი სკოლის ისტორიის წიგნი და ფურცელზე მიაწერე ეს ამბავი, თუ გინდა სიმართლე გააავრცელო! როგორც იმ თქვენს ყოვლად არამართალ დაჯგუფებას დაარქვით!

აგამემნონი: გეყოფა.

მენელაოსი: როგორ გქვიათ, როგორ?

იფიგენია: სადაა დედა?

მენელაოსი: ორესტეს მე დავამშვიდებ, არ ჭირდება მაგას დედაშენი!

ელექტრა: შენ ახლა შენი პატარა ფეხებით სველ მიწაზე მირბიხარ.

იფიგენია: დედა სადაა?

აგამემნონი: ცუდად ხომ არ ხარ?

იფიგენია: არა, ისევ გადაირთო.

ელექტრა: ხელში პატარა ავტომატით.

აგამემნონი: რა?

ელექტრა: შენი პატარა ავტომატი საერთო საწყობისკენ მიგაქვს.

კლიტემნესტრა: ციყვს ვერ დავიტოვებ, მაპატიე... ხომ გესმის...

ეგისთოსი: რა თქმა უნდა, მესმის.

ელექტრა: ყველა შენიანი აქაა.

ეგისთოსი: ვოცნებობ იმ დროზე, როცა თავისუფლად შევძლებ ციყვები გაჩუქო...
შენს ვარდების ბაღს მოვუარო,
დილის ცვრიან ფურცლებს ტუჩებით ვეამბორო.
ვოცნებობ.

ელექტრა: მოვიპოვებთ მშვიდობას.

ეგისთოსი: მხოლოდ ვოცნებობ შენს სრულყოფილად მიღებაზე.

კლიტემნესტრა: ამის დროც მოვა, ჩვენი მზე აუცილებლად ამოვა.

ელექტრა: მშვიდობის მზეს ამოიყვანს ჩვენი კივილი.

ეგისთოსი: წამოდი, მანქანაში რამეს ვუყუროთ, განიტვირთები.

ელექტრა: ამ ბრძოლაში ერთად ვიქნებით, სიკვდილამდე! გამარჯვებამდე!

რომც დავიხოცოთ, ყველა ჩვენი ძვირფასი ადამიანის გაწირვაც რომ მოგვიხდეს, მაინც ერთად აღვადგენთ სამართლიანობას.

შენ მაღლა წევ ავტომატს და შენს თანამებრძოლს ეუბნები:

ეგისთოსი და კლიტემნესტრა მანქანაში სხდებიან. ეგისთოსი ტელევიზორს ჩართავს. არხებს ეძებს. მხოლოდ შიშინია, თითქმის ყველგან. ელექტრა ავტომატს შემართავს, მიკროფონს მიუახლოვდება და იწყებს

ელექტრა: *აჯანყდი!*

კლიტემნესტრა: აქ არაფერი არ დაიჭერს ალბათ.

ეგისთოსი: რამე საინფორმაციო მაინც იქნება.

ელექტრა: მზეს თვალს უსწორებ და ხმამაღლა ყვირი:

კლიტემნესტრა: მოიცა, მოიცა, გააჩერე აბა, მანდ!

ელექტრა: აჯანყდი! დახატე წითელი ლაქა ჭერზე.

კარს ხურავენ და ფანჯრებს წევენ. ელექტრას მონოლოგის პარალელურად, მალევე იწყება საინფორმაციო გამოშვება, რომლის ხმაც მანქანის გარეთ არ ისმის.

ელექტრა: *აჯანყდი, რადგან მამა ძალიან ბევრს გატყუებდა ბავშვობაში*

აჯანყდი, რადგან გულს გირევს დაპირებები და გადაგდებები

აჯანყდი, რადგან იმედი იმედგაცრუებით იწყება

აჯანყდი, რადგან მხოლოდ კოლექტიური ქმედებები გვაშორებენ ბოროტოკრატიას

აჯანყდი, რადგან შენი გაყიდვა არ შეიძლება

აჯანყდი, რადგან თავი დაკარგე

ერთი და იგივე კოშმარების წრეზე სიარულში

აჯანყდი, რადგან შვილები ამტკიცებენ რომ ეს არაფერს მოიტანს

ხოლო მშობლები ამტკიცებენ, რომ ამის დრო ჯერ არ დამდგარა

აჯანყდი, რადგან დემონებიც მოკვდავნი არიან

აჯანყდი, რადგან ტკივილი აუტანელია, სამუშაო ძალიან ბევრი

ხოლო ჯილდო ზედმეტად ძუნწი

აჯანყდი, რადგან ლაპარაკს არ გაცლიან

აჯანყდი, რადგან ეს ასე არ უნდა ყოფილიყო

აჯანყდი, რადგან უნდა მოიგერიო ყველა შემოტევა

და უპასუხო ყველა შეურაცხყოფას

აჯანყდი, რადგან შენი ღირსება მეტია მათ ორპირობაზე

აჯანყდი, რადგან ხელები მოგვეცა რათა შევქმნათ

და არა იმისთვის, რომ უკანასკნელი წვეთი გამოვადინოთ

სასოწარკვეთილ ადამიანებს

აჯანყდი, რადგან ხელისუფლება ესაა ქუჩა ორმხრივი მოძრაობით,

შესახვევებით, გადასვლელებით და შეუსწაველი გვირაბებით

აჯანყდი, რადგან შენი შიშველი ხელები შენი ერთადერთი ჰეჯ-ფონდია

აჯანყდი, რადგან ნახშირის მტვერი ახრჩობს

ხოლო შახტა ცოცხალთა სასაფლაოა

აჯანყდი, რადგან გულს გირევს ყველაფერი,რასაც ახალს ეძახიან

შენ კი სასოწარკევეთილი ხარ იმით, რომ არაფერი იცვლება

აჯანყდი, იმიტომ რომ შენ მიგატოვეს

აჯანყდი, იმიტომ რომ ასე ცხოვრება აღარ შეგიძლია

აჯანყდი, იმიტომ რომ ყველა უსმენს და არავინ ლაპარაკობს

აჯანყდი, იმიტომ რომ ამის სხვაგვარად გამოხატვა არ შეგიძლია

აჯანყდი, იმიტომ რომ აზრი უნდა შექმნა, მისი სწავლა შეუძლებელია

აჯანყდი, რადგან ცხოვრება მოთხრობაა, ხოლო შენ მთხრობელი ხარ

აჯანყდი, რადგან ეს მე გითხარი

აჯანყდი, რადგან მე არასდროს გიღალატებ,

აჯანყდი, რადგან მე ერთი გითხარი, მეორე კი გავაკეთე

აჯანყდი, რადგან მე იმედი გაგიცრუე

აჯანყდი, რადგან მე გაგასულელე და გაიძულე გეყვირა

აჯანყდი, რადგან არ აქვს მნიშვნელობა მოიგებ, თუ წააგებ,

მთავარია რაღაც ქნა

აჯანყდი, იმიტომ რომ შოუზე დასასწრები ბილეთები ვერ იშოვე

აჯანყდი, რადგან საკუთარი აზრი არასდროს გქონია

აჯანყდი, რადგან შენ შეგიძლია, ან გგონია რომ შეგიძლია

ან გეგონა რომ შეგეძლო

აჯანყდი, რადგან ეს შესაძლოა შენი ბოლო შანსი იყოს

აჯანყდი, რადგან წინააღმდეგობა დამცირებაზე უკეთესია

აჯანყდი, რადგან ბნელ რესტორანში ასანთის ღერიც კი საკმარისია

მენიუს წასაკითხად

აჯანყდი, რადგან შენ არ მოგწონს როგორც გადააკეთეს სამყარო

აჯანყდი, რადგან შენი ჩადენილი ბოროტება მათ ბოროტებასთან ვერ მივა

აჯანყდი, რადგან ზარები რეკენ, შენ კი თითქმის ყრუ ხარ

აჯანყდი, რადგან თვითდამშვიდება დროის ფუჭად კარგვაა

შენ არ აჯანყდი, როცა შეგეძლო, ახლა კი ძლიერ გვიანაა.

აჯანყდი, რადგან ხმაურია

აჯანყდი, რადგან შენს ცხოვრებაში არასაკმარისია ჰოეზია,

ან ეს ის ჰოეზია არ არის

აჯანყდი, რადგან ყველაფერი მოგბეზრდა

აჯანყდი, რადგან შეყვარებული ხარ, ან გადაიყვარე,

ან აღმართთში ხარ, ან დაღმართთში, ან ჩიხში,

თავი ცარიელი გაქვს, თუ იდეებით სავსე,

კრიზისში ხარ, თუ მშვენიერ სპორტულ ფორმაში.

აჯანყდი, რადგან მდიდრებს ურჩევნიათ შენ ჩაძაღლდე,

ვიდრე, გადასახადები სრულად გადაიხადონ

აჯანყდი, რადგან სიღარიბე კანონს მიღმა დააყენეს,

ხოლო კორპორაციების მძარცველობა დააკანონეს

აჯანყდი, რადგან ტანგოს მარტო ცეკვა უხალისოა

აჯანყდი, რადგან ეს აუცილებელია

აჯანყდი, რადგან ზოგჯერ უნდა ადგე, რათა ჯდომისგან სიამოვნება მიიღო

აჯანყდი, რადგან შენ ვერ წარმოგედგინა რომ ეს შეგეძლო

აჯანყდი, რადგან შენ ამის ტრაკი არ გაქვს

აჯანყდი, რადგან შენ გამოტოვე რევოლუცია

აჯანყდი, რადგან რევოლუცია ცხოვრებაში მხოლოდ ორჯერ ხდება

აჯანყდი, რადგან შენს აპათიას შენთვის უსაზღვრო სიხარული მოაქვს

აჯანყდი, რადგან შენი ხმა დაკარგე

აჯანყდი, იმიტომ რომ შენ გაქვს არჩევანი

აჯანყდი, რადგან გუნდში სიმღერა გინდა

აჯანყდი, რადგან სულ გინდოდა სოლისტი ყოფილიყავი,

აჯანყდი, ეს დიდხანს იწელება

აჯანყდი, რადგან გინდა იმღერო ეს სიმღერა.

ქუჩაში კოკა-კოლას საახალწლო მანქანა ჩაივლის, თავისი ცნობილი სიმღერით. ელექტრა მუხლებს შორის ჩაიდებს ავტომატს და ჭერზე ტვინს აასხამს. უეცრად სახლში ბნელდება, ტყეში დამაბრმავებლად კაშკაშა თეთრი შუქი ჯერ გაიელვებს, რამდენიმე წამში კი რჩება სამუდამოდ.

იფიგენია: გათენდა?

კლიტემნესტრა: ეს რა ხდება?

აგამემნონი: აქ ადრე თენდება.

კლიტემნესტრა: აგამემნონი უნდა ვნახო, სასწრაფოდ!

ეგისთოსი: დამშვიდდი,

იფიგენია: მინუს ერთი ღამე.

ეგისთოსი: სისულელეა, რაც გამოაცხადეს!

კლიტემნესტრა: იფიგენიას შეეშინდება.

აგამემნონი: აღარ შემიძლია აღარ შემიძლია!!!!

კლიტემნესტრა: აღარ შემიძლია! მეგონა ბავშვი უსაფრთხო ადგილას ჩამოვიყვანე, სამკურნალოდ! 13 წლის ბავშვისგან რა უნდათ! მითხარი, რომ ტყუილია და ვერც კი მოგვიახლოვდებიან.

იფიგენია: აღარ.

ეგისთოსი: ხომ იცი, რომ სულ დაგიცავთ.

კლიტემნესტრა: აგამემნონი! აგამემნონს ეცოდინება სიმართლე!

ეგისთოსი: დაწყნარდი, ძვირფასო. გჯერა ამ ტყუილების?

კლიტემნესტრა: ვერ გავიგე, რა დააშავა. რატომ უნდა მოკლან?

ეგისთოსი: ვერავინ, /ვერავის

კლიტემნესტრა: ბიძამისის და მამამისის გამო შვილი უნდა მომიკლან? რა დააშავა!

აგამემნონი კარვიდან გამორბის. კლიტემნესტრა კარვისკენ გარბის. შვედეთის პრინცი მოხუცებთან და ბავშვებთან ერთად კალათბურთს თამაშობს ტყეში, ელექტრა სიბნელეში უკრავს, იფიგენია სინათლეში მღერის.

ხომ მოგესმა, რომ შენი მეგზური სიცარიელეა?

იფიგენია: *It's the darkest hour*

კლიტემნესტრა: მარტო დატოვე?

აგამემნონი: ვინ?

კლიტემნესტრა: მარტო დატოვე?

აგამემნონი: ვინ-მეთქი!

იფიგენია: *In our forest home*

კლიტემნესტრა: საშინელი კაცი ხარ.

აგამემნონი: ყველაფერი კარგადაა, მენელაოსი აძინებს!

კლიტემნესტრა: ვის?

აგამემნონი: რა ვის?

იფიგენია: *You climbed my heart*

კლიტემნესტრა: იფიგენიას?!

აგამემნონი: ორესტე ტიროდა.

კლიტემნესტრა: იფიგენია?!

აგამემნონი: იფიგენია კარგადაა.

იფიგენია: *And you came alone*

კლიტემნესტრა: ტელევიზორში თქვეს, რომ მასზე თავდასხმას გეგმავენ.

აგამემნონი: რა? ვინ გითხრა?

კლიტემნესტრა: მე თვითონ მოვისმინე!

აგამემნონი: არ უნდა გეყურებინა ტელევიზორისთვის!

კლიტემნესტრა: მითხარი რა ხდება!

აგამემნონი: არაფერი არ ხდება, შეგნებულად გავრცელებული ინფორმაციაა.

კლიტემნესტრა: რომელი მხარის მიერ?

აგამემნონი: ჩვენი!!!

კლიტემნესტრა: მისი კივილი რატო არ ისმის?

აგამემნონი: კარგადაა-მეთქი, გეუბნები.

კლიტემნესტრა: მაგრამ სინათლის რომ ეშინია?

აგამემნონი: თუ არ გჯერა, მიდი და ნახე, რომ კარგადაა!!!

კლიტემნესტრა: უნდა მჯეროდეს?

აგამემნონი: რა გაძლევს დაეჭვების საფუძველს?

კლიტემნესტრა: კანკალებ!

პრინცი: ნათელი დილა, მეზობლებო!

იფიგენია: *It's a perfect world*

აგამემნონი: ნათელი დილა!

პრინცი: აბა, ყველა მივესალმოთ! ნათელი დილა აგამემნონს!

ყველა: ნათელი დილა აგამემნონს!

კლიტემნესტრა: ეს ვინაა?

იფიგენია: *I'm the perfect girl*

აგამემნონი: მათთან ერთად ითამაშებს ხოლმე იფიგენიაც, თამაში ამ თერაპიის ნაწილია.

კლიტემნესტრა: სასწრაფოდ ამიხსენი რა ხდება, სანამ მოგვიახლოვდა!

აგამემნონი: დაწყნარდი-მეთქი! ყველაფერი ჩვენი დავალებით ხდება. ასე გვჭირდება. ყველაფერი კარგადაა, ყველა უსაფრთხოდ ვართ. ვერ ნახე, რამხელა დაცვა გვყავს?

კლიტემნესტრა: რატომ?

ხომ მოგესმა, დაცვა დაგყვება

პრინცი რამდენიმე ბენეფიციართან ერთად აგამემნონსა და კლიტემნესტრას უახლოვდება.

აგამემნონი: დამშვიდდი, ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს. ყველაფერი რიგზეა. მივისალმოთ!

კლიტემნესტრა: კარგი.

იფიგენია: *You're the nightmare*

And I'm the dream

It's a perfect world

I'm the perfect girl

პრინცი: გაიცანით, ჩემი სხვადასხვა ასაკის, მაგრამ თანაბრად მნიშვნელოვანი შვილები, ჩემი სხვადასხვა გენდერისა და ეროვნების, მაგრამ თანაბრად მნიშვნელოვანი ბებია და ბაბუა, ჩემი ტრანსგენდერი ბაბუა, ჩემი ბისექსუალი ბაბუა, ჩემი ძმა, ჩემი და, ჩემი მეორე და, ჩემი მესამე და, ჩემი ინდუსი მონა, იგივე - დედა, მამა, რომელიც თანდათან მონობას თავს აღწევს, ჩემი შავკანიანი მეუღლე, რომელსაც ნელ-ნელა სარკის აღარ ეშინია, ხო ასეა საყვარელო?

ჩემი მეორე პარტნიორიც მინდა გაგაცნოთ, თუ ისიც ისურვებს ამას... აბა, ისურვებ, ძვირფასო?

არ უნდა...

იფიგენია: *It's the darkest hour*

პრინცი: კარგი, ჩვენ გავაგრძელებთ თამაშს.

კლიტემნესტრა: არა, მინდა გაგიცნოთ!

აგამემნონი: მგონი, ბევრი საქმე აქვთ, საყვარელო.

კლიტემნესტრა: დიდხანს არ მოგაცდენთ. უბრალოდ, ძალიან აღმაფრთოვანა თქვენმა მეთოდმა, რამდენადაც გავეცანი.

პრინცი: დიდი მადლობა, ჩვენი მეთოდი სიყვარულსა და ერთიანობას ეფუძნება, ეს კი ისეთი მარტივია, თქვენც ხომ ხედავთ, ყველა აქ ვართ, ერთად.

აგამემნონი: რა ამაღელვებელია არა მართლა? მთელი სამყარო ერთ მუშტად შეკრულ ოჯახად!

კლიემნესტრა: ძალიან

აგამემნონი: აი, რა მინდა! აი, რა მიყვარს! აი, რისი მიღწევა მინდა ჩემს სამშობლოში!

კლიტემნესტრა: როგორ მიხარია, რომ ჩემი შუათანა ქალიშვილი

პრინცი: უბრალოდ შვილი.

იფიგენია: *In our forest home*

კლიტემნესტრა: როგორ, მიხარია, რომ უბრალოდ ჩემი / შვილი, იფიგენია

აგამემნონი: ძვირფასო, ხომ არ აჯობებდა ორესტესთან წასულიყავი. საშინლად ტიროდა, შენს მოსაძებნად ამიტომ წამოვედი.

კლიტემნესტრა: მაგრამ ის უკვე აღარ ტირის.

‘

იფიგენია: *You climbed the tree to my heart*

კლიტემნესტრა: უბრალოდ გკითხავთ, ოქსიტოსინით მკურნალობა როგორ ხდება, ასმევთ ოქსიტოსინს? მე არ ვარ პროფესიონალი ამ საკითხში, შეიძლება რამე მეშლება.

იფიგენია: *And you came alone*

მთავრდება. ყოველთვის

პრინცი: აჯობებს, ამაზე მოგვიანებით ვილაპარაკოთ.

დაგემშვიდობებით, ახლა ჩვენ ზამთრის ცივ დილასთან შეგებების რიტუალი გვაქვს და მალე თუ არ დავიწყეთ, შუადღის რიტუალი გამოგვივა.

აბა, დავემშიდობოთ კეთილ მეზობლებს!

ყველა ერთიანად რაღაცას გაუგებრად წამოიღრიალებს.

აგამემნონი: მშვიდობის დილა! მშვიდობის საღამოს ერთად შევხვედროდეთ!

‘

კლიტემნესტრა: მისმა დანახვამ ცოტა დამამშვიდა.

‘

აგამემნონი: მიხარია.

იფიგენია: *It's a perfect world /*

I'm the perfect girl

It's a perfect world

And I'm the dream

კარვისკენ მიდიან

კლიტემნესტრა: ცოტა იმედი მართლა მომეცა.

აგამემნონი: მიხარია.

კლიტემნესტრა: სინამდვილეში, შენ ძალიან კარგი მამა ხარ, აგამემნონ, შენში ეჭვი არ შემაქვს. უბრალოდ/

აგამემნონი: გმადლობ, კლიტემნესტრა.

კლიტემნესტრა: უბრალოდ მეტი რამ მაინტერესებს ჩემს შვილზე... მინდა დარწმუნებული ვიყო!

აგამემნონი: უბრალოდ ყველაფერი კარგად იქნება.

კლიტემნესტრა: ვიღაც მოკვლით იმუქრება.

აგაემნონი: ყველაფერი დადგმულია. სიტუაციას ჩვენ ვმართავთ.

კლიტემნესტრა: კარგი, ალბათ ეს ისევ ჩემი ფატალური ბოდვებია! არც კი იცი, რა დღეების გადატანა მომიხდა.

აგამემნონი: ვიცი, ძვირფასო, ვიცი.

კლიტემნესტრა: როგორც კი იღვიძებდა, კიოდა! სინათლის ეშინოდა. ისე მიკვირს ახლა რომ არ კივის... როგორც ჩანს აქაურობა მასზე მართლაც კარგად მოქმედებს.

აგამემნონი: სხვა ჰაერია...

კლიტემნესტრა: და ალბათ ძალიან გაუხარდება, როცა გაიცნობს.

აგამემნონს: ვის?

კლიტემნესტრა: ამ ახალგაზრდას. სულ მის ვიდეოებს უყურებს ხოლმე.

აგამემნონი: რა ვიდეოებს?

იფიგენია: *I’m the dream*

კლიტემნესტრა: თერაპიული ვიდეოებია, მე როგორც მივხვდი. უძილო ღამეების დროს, სულ მას უსმენდა.

აგამემნონი: კიდევ უკეთესი! ნდობის მოპოვებაზე დრო აღარ დაიხარჯება.

კლიტემნესტრა: ჩემი ბრალია. გლობალურ კრიზისზე ასე პატარა ასაკიდან არ უნდა დამეწყო მასთან ლაპარაკი.

იფიგენია: *It’s a perfect world*

აგამემნონი: ჰო. ეს არ უნდა გექნა. ჩვენ შესანიშნავი ეზო გვაქვს... იქ არაფერი არ იწვის და არც დნება. ვერაფერს გაიგებდა.

კლიტემნესტრა: მაგრამ ინტერნეტი?

‘

იფიგენია: *I'm the perfect girl*

კლიტემნესტრა: და იცი? ერთხელ შენმა მსახურმა ღორი დაკლა! პირდაპირ ბავშვების თანდასწრებით გამოჭრა ყელი!

აგამემნონი: ნუ ყვები?!

კლიტემნესტრა: ჰო, ჰო, ასე იყო.

იფიგენია: *It’s a perfect world*

აგამემნონი: რას ამბობ?!

კლიტემნესტრა: გეუბნები, ნამდვილად ასე იყო.

აგამემნონი: ბოროტი მსახური!

კლიტემნესტრა: გავაძევე.

აგამემნონი: სწორად მოქცეულხარ!

იფიგენია: *And I'm the dream*

კლიტემნესტრა: მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ადრე თუ გვიან ყველაფერს შეიტყობდა. ადრე თუ გვიან, მაინც გაიგებდა, რომ სამყაროს აღსასრული ახლოსაა. ასე არაა?

აგამემნონი: ასეა. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევძელით ჩვენი შვილებისთვის უკეთესი სამყარო დაგვეხვედრებინა.

კლიტემნესტრა: ჩვენი ცოდვების გამო ისინი პასუხს არ აგებენ.

აგამემნონი: ეს საშინელი უსამართლობაა.

კლიტემნესტრა: მაგრამ გახსოვს რა ლამაზი იყო ჩვენი ახალგაზრდობა? გახსოვს, რა ლამაზად ვცხოვრობდით? რატომ გადაიქცა ყვლაფერი დაუსრულებელ ჯოჯოხეთად? ჩვენს ახალგაზრდობაში ხომ არ იყო ამდენი სიკვდილი, არ იყო ამდენი ძარცვა და კაცის კვლა. რამ მოიტანა ეს ყველაფერი? ვინ შექმნა ეს სიბნელით მოცული სამყარო, რომელშიც მხოლოდ სატანას დაედგომება? იცი რა მითხრა იფიგენიამ გუშინ?

აგამემნონი: რა.

კლიტემნესტრა: დედაო, ახალი წელი აღარ მოვაო, წელსო!

იფიგენია: *It’s a perfect world*

კლიტემნესტრა: რატომაა ეს თაობა ასეთი სასოწარკვეთილი! რატომ?

იფიგენია: *I'm the perfect girl*

კლიტემნესტრა: მითხარი რატომ?

‘

ღმერთო!

იფიგენია: *It's a perfect world*

კლიტემნესტრა: რატომ ადგას სამყარო დაღუპვის გზას!

‘

ამიხსენი აგამემნონ!

იფიგენია: *And I'm the dream*

კლიტემნესტრა: მე არ ვიცი. მე არაფერი აღარ ვიცი.

იფიგენია: *It's the darkest hour*

აგამემნონი: კარავში შევიდეთ. გამოძინება გჭირდება.

კარავში შედიან

მენელაოსი: ძალიან კარგი ამბავი გვაქვს.

აგამემნონი: ხუმრობ?

კლიტემნესტრა: როგორ ხარ, ძვირფასო?

იფიგენია: უკვე მკვდარი.

მენელაოსი: იტყუება, რაც გახვედი, მღერის, აგამემნონ.

იფიგენია: უკვე კარგად.

აგამემნონი: ძვირფასო, როგორ ხარ?

იფიგენია: უკვე მკვდარი.

კლიტემნესტრა: იცი, აქ ვინაა?

იფიგენია: შენ. მამაჩემი. ბიძაჩემი. ჩემი ძმა. და კიდევ კაცები წითლებში და ლურჯებში. დაცვა. მტრები. სინათლე.

კლიტემნესტრა: ის ბიჭი, შენ რომ უყურებ ხოლმე.

იფიგენია: იმიტომ, რომ მომავალზე ვარ შეყვარებული

კლიტემნესტრა: რომ ჩურჩულებს ხოლმე.

იფიგენია: ხმაც მყოფნის.

მენელაოსი: ელექტრა საქმეს შეუდგა. როგორც ჩანს მას უფრო აწუხებს მამის ბედი, ვიდრე ამას... შვილის არჩევაში შეცდი, ჩემო ძმაო.

იფიგენია: არაფერი.

კლიტემნესტრა: იქნებ სთხოვო და მოვიდეს?

აგამემნონი: მოიცადე, რა?

მენელაოსი: ამათი გაერთიანების პოსტი ვნახე. ამბობენ, რომ მამის წამებას არავის აპატიებენ.

კლიტემნესტრა: რა?

აგამემნონი: ალბათ ტელევიზორს უყურა.

კლიტემნესტრა: გამაგებინეთ, რა ხდება?

აგამემნონი: არაფერი.

კლიტემნესტრა: კარგი, იმას მაინც დაუძახე, აშკარად არაა კარგად, დაეხმარება.

აგამემნონი: ვის?

იფიგენია: სახლში არ ვბრუნდები.

კლიტემნესტრა: იფიგენია ვისთანაც/ უნდა

აგამემნონი: გაჩუმდი! ერთი წამით გაჩუმდი. ძალიან ავირიე. მითხარი ელექტრაზე, მენელაოს.

იფიგენია: არ გესმის. გეგმები შევცვალე.

მენელაოსი: აჯანყდნენ!

კლიტემნესტრა: ვინ?

მენელაოსი: ახალი თაობა აჯანყდა. ფერადები, ლამაზები! გამოდის, რომ შენთვის!

აგამემნონი: ჩემთვის?

კლიტემნესტრა: მარტო არ უნდა დამეტოვებინა!

აგამემნონი: რას ამბობ, მხოლოდ კარგი რამ იწყება. ცვლილებების დრო მოდის.

იფიგენია: სანამ გავქრები.

კლიტემნესტრა: რაღაცას არ ამბობთ! რაღაცას არ ამბობთ, როგორც ყოველთვის!

იფიგენია: შეყვარებული ვარ.

კლიტემნესტრა: გთხოვ, მოიყვანე ის ბიჭი! ვთხოვოთ, მოვიდეს, ხომ ხედავ რა დღეშია ბავშვი.

იფიგენია: მაგრამ ვინმე სხვაზე კი არა.

კლიტემნესტრა: დახმარება სჭირდება.

მენელაოსი: იტყუება! გაუჩერებლად მღეროდა!

კლიტემნესტრა: შენთვის არავის უკითხავს რამე.

იფიგენია: საკმარისი მინდა ვიყო.

მენელაოსი: ჰოდა, ჯობდა, რომ ეკითხა! რომ გეკითხა გეტყოდი აქ რისთვისაც ხარ!

კლიტემნესტრა: როგორ ბედავ ჩემთან ასე ლაპარაკს!

მენელაოსი: ერთი სულელი ქალი ხარ. შვილებს აჩენ. მეტი არაფერი. როგორ გინდა რომ გელაპარაკო.

კლიტემნესტრა: ამას როგორ მიბედავს საკუთარი ოჯახის თანდასწრებით!

მენელაოსი: სერიოზულად დარდობ ამაზე?

აგამემნონი: დაჯექი, ყველას გამოძინება გვჭირდება! არ შემიძლია, როგორ არ გესმის!

კლიტემნესტრა: რატომ?

მენელაოსი: რა ჩაციებაა? არ შეუძლია ადამიანს, არაა შენთვის გასაგები?

კლიტემნესტრა: რა გაცინებს? რამე არის სასაცილო აქ?

‘

ეგრე შენ ცოლთან გელაპარაკა.

‘

თუ რამე შეგეძლო.

მენელაოსი: ოჰოოოო. ენამწარე დედაკაცო. ენა ჩაიგდე. ასე ლაპარაკის უფლება ვინ მოგცა? შენმა ქმარმა?

კლიტემნესტრა: ენა შენ თვითონ ჩაიგდე, თორემ ისევ იქ მოგიწევს დაატრიალო, სადაც სულ მუდამ გიწევდა გეტრიალებინა.

მენალაოსი: რაზე მიმანიშნებ?

კლიტემნესტრა: აგამემნონ, შენი ძმა გააჩერე.

აგამემნონი: რა საჭიროა ეს ბოროტი კბენები?

კლიტემნესტრა: მე მეგონა შენ სხვა გკბენდა ხოლმე.

აგამემნონი გაარტყამს კლიტემნესტრას. მენელაოსი წამოხტება.

იფიგენია: ათასი წლის შემდეგ შევხვდებით. მიმღეროდა ჩემი ანარეკლი. მპირდებოდა.

კლიტემნესტრა: გასაგებია.

იფიგენია: გეგმები შევცვალე.

კლიტემნესტრა: დააწვინე ორესტე!

იფიგენია: საკუთარ მომავალზე შეყვარებულმა.

იფიგენია: ვერავინ.

ვერავინ.

მენელაოსი: შენი შვილები შენ არ გეკუთვნის. ახლა ისეთ რამეს გეტყვი, რაც შენი პრიმიტიული ტვინისთვის, ალბათ სრულიად მიუწვდომელი იქნება, მაგრამ მაინც გეტყვი, იქნებ შოკურმა თერაპიამ გონება გაგინათოს. შენი შუათანა შვილი, იფიგენია, მოკვდება, მისი სისხლი დაიღვრება სამშობლოს გულზე და ახალ სიცოცხლედ განიტოტება მის მიწებზე. შეერევა მდინარეებს, შეერევა მინდვრებს, მორწყავს ტყეებს, ააბიბინებს ბალახს, ღრუბლებად ქცეული დააწვიმს თავისსავე განაყოფიერებულ მიწას და მარადიულად გააანათებს მზე მასში, მარადიულად ააელვარებს ცისარტყელებს და როცა ოდესმე, ღრმა სიბერეში შენს მიწვდები ამ სიბრძნეს, მიხვალ ტაძარში და მის მარადიულ არსებობას ეთაყვანები, შესთხოვ, განგწმინდოს/

აგამემნონი მენელაოსს ტუჩებში კოცნის

იფიგენია: ვერავინ ჩემს გარეშე.

არავინ ჩემს გარეშე.

არავინ ჩემს გარდა.

ჩემს მომავალში მიმღერებს ჩემი ანარეკლი.

ყველაფერი დაკარგე.

ყველაფერი დაივიწყე.

ყველაფერი მშვენიერი მომავალს დაუტოვე.

არავის დაუჯერო.

არ დაბრუნდე.

არ გადაწყვიტო.

მენელაოსი ურტყამს და აგამემნონს იცილებს. კლიტემნესტრა გარბის.

კლიტემნესტრა: მიშველეთ! მიშველეთ!

მენელაოსი: ახლავე მოაბრუნე! ახლავე მოაბრუნე შენი ყლე ცოლი! მოაბრუნე ახლავე!!! ახლავე დააბრუნე!

ეგისთოსი: რა ხდება!

კლიტემნესტრა: არ ვიცი, არ ვიცი, ვერ ვხვდები! ჩქარა!

ეგისთოსი კლიტემნესტრასკენ გამორბის, საამაყო დაცვა შორიდან ესვრის და შუბლს გაუხვრეტს.

კლიტემნესტრა: ელექტრას უნდა დავურეკო. ელექტრას უნდა დავურეკო. ელექტრას უნდა დავურეკო.

გული მისდის. მენელაოსი ძირს აგდებს აგამემნონს და მუცელში ურტყამს. იფიგენია ღიღინს განაგრძობს.

იფიგენია: შენ სიბნელეში უკრავდი ჩემთვის.

უყურებდი ანარეკლს პირდაპირ პიანინოზე.

მაშინ გავჩნდი, როცა ჩუმად ტიროდი.

მაშინ გავჩნდი, როცა სამყარო სკდებოდა.

და შენთან ვიყავი, სანამ ტრაგედია დასრულდებოდა.

მაგრამ ახლა სიბნელიდან ჩემი მომავალი იბადება.

სახლში აღარ ვბრუნდები.

ხეებს შორის მივფრინავ.

შეიძლება მტკივნეულია.

შეიძლება ჯერ სულ ახლა დავიბადე.

შეიძლება ჯერაც არ დავბადებულვარ.

მაგრამ ვიცი, რომ

გეგმები შევცვალე.

რადგან საკუთარ მომავალზე ვარ შეყვარებული.

ერთი სული მაქვს როდის შევხვდები.

გავჩნდი, როცა ღიმილით მოიწმინდე ცრემლები.

გავჩნდი, როცა მკვდრებს თვალებს უხუჭავდი.

გავჩნდი და შორს მივდივარ.

იმაზე შორს, ვიდრე წარმოგიდგენია.

ვეღარაფერი შემაჩერებს.

რადგან

რადგან

მომავალაზე ვარ შეყვარებული და შენ მას არ იცნობ.

მსახურებს საწამებელი იარაღები შემოაქვთ. მენელაოსი აგამემნონის ცემას წყვეტს.

აგამემნონი: გაიტანეთ!

მსახური: სად ბატონო?

აგამემნონი: ახლავე გაათრიეთ აქედან! ახლავე!!!

მენელაოსი: გაჩუმდი!

მსახურებს კამერები, ბუმიანი მიკროფონები, განათების აპარატურა და სხვა აღჭურვილობაც შემოაქვთ, რაც იფიგენიას წამების გადასაღებადაა საჭირო.

აგამემნონი: გაიტანეთ აქედან! არ მინდა! გაიტანეთ. არ მინდა! არ მინდა!

მენელაოსი: სხვა მხარეს გაიხედე!

აგამემნონს გული მისდის.

მენელაოსი: არაუშავს. ასე ემართება ხოლმე, როცა სუნთქვა ეკვრება. გაიღვიძებს.

მსახური: სტრიმი, როგორც გადაწყდა, ხარვეზებით გავა, მეტი აუთენტურობისთვის.

მენელაოსი: ვინ მიიღო გადაწყვეტილება...

მსახური: ყველაფერი ბატონთან შევათანხმეთ... წუხელ.

მენელაოსი: გასაგებია.

მსახური: სამაგიეროდ, საუნდი იქნება მაღალი ხარისხის.

მენელაოსი: თვითონ სადაა, აქამდე.

მსახური: წესით გზაში უნდა იყოს.

პრინცი: მოვედი! გარეთ ის ქალი გდია, რამე მოხდა?

‘

დაა კიდევ ამათი მძღოლი გდია მკვდარი.

‘

კარგი, ვისი ხმა უნდა იყოს ვიდეოში, მიკროფონი რომ გავუკეთო?

მსახური: აი, ის გოგონა

პრინცი და იფიგენია ერთმანეთს შეხედავენ.

იფიგენია კვდება.

დასასრული